645
1963/2

ეროვნული ბიბლიოთეკა





# საბჭოთა ქალი



სექტემბერი
№ 9 1963 წ.



ექენი დელაკრუა — „თავისუფლება ბარიკადებზე"

„ფერწერა იწვევს სრულიად განსაკუთრებულ ემოციებს, რაც არ შეუძლია სხვა არცერთ ხელოვნებას. სურათის მუსიკა შეიძლებოდა გვეწოდებინა ამ შთაბეჭდილებებისათვის..."

ეჟენი დელაკრუა.

მიმდინარე წლის აგვისტოში შესრულდა გამოჩენილი ფრანგი ფერმწერლის ეჟენი დელაკრუას გარდაცვალების 100 წლისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ႱႩႭႪႨႱ ႣႨႰႤႵႲႭႰႨ

თბილისში, საბჭოს ქუჩაზე, მაღალი თეთრი შენობა დგას. შეუძლებელია გვერდით ისე ჩაუარო, რომ იქედან მოდენილმა ბავშვების წკრიალა, კისკისა ხმებმა შენც ბავშვობა არ გაგახსენოს. მერე, თითქოს, რაღაცის მოგონების ნიშნად, თავს გაიქნევ და სიხარულს მოგგვრის იმის შეგრძნება, რომ შენც ყოფილხარ მოსწავლე...

ახლა იმ შენობის დარბაზი ბავშვებითაა გაჭედილი. კათედრაზე მაღალი, ჭაღარა ქალი დგას და უამბობს მათ სკოლის ცხოვრებაზე, წარჩინებულ მოსწავლეებზე...

* * *

პატარების მორცხვმა სახეებმა ქ. მახარაძის პირველდაწყებითი სკოლა გაახსენეს. იქ შესასვლელად რომ ამზადებდნენ, წერა-კითხვა ბიძამ, ცნობილმა პედაგოგმა ვანო ლლონტმა ასწავლა. მასწავლებლობა კი მაშინვე იტაცებდა. რვა წლის გოგონა თანატოლებთან ყოველთვის აღმზრდელის როლში გამოდიოდა.



მერე მართლაც ამ გზით წარიმართა მისი მომავალი. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგზე შევიდა ნათელა მუჯირი.

კარგი იყო სტუდენტობა, წიგნზე დათენებული ღამეები, ფიქრი და ლამაზი ოცნებები. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა ლანჩხუთში დაიწყო — სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. სამი წელი დაჰყო იქ და ამ ხნის განმავლობაში თავის მოწაფეებთან ერთად ისიც გაიზარდა, ძველი პედაგოგების დახმარებით თანდათან დასტატდა.

სამუშაოდ მალე თბილისში გადმოიყვანეს. ლენინის რაიონის სხვადასხვა სკოლებში ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 1944 წლიდან თბილისის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორია.

რთული ლაბორატორიაა სკოლა და მისი ხელმძღვანელობა ცხრამეტი წლის მანძილზე არც ისე იოლია.

...ყოველ დილას დაირეკება ზარი. ახმაურდება კლასები, გაიღება სამასწავლებლოს, დირექტორის კაბინეტის კარი და მერე თავისებური, გაკვეთილების გაბმული ზუზუნი მოიცავს სკოლას. მე-8 კლასში მათემატიკის ღია გაკვეთილზე დაიწერება ბევრი ხუთიანი. მე-5 და მე-6 კლასებში უცხო ენის გაკვეთილზე მოსწავლეები გამოამჟღავნებენ ინგლისური ენის ლექსიკის ცოდნას. მაგრამ მოსწავლეთა წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს ზოგჯერ უსიამოვნო ამბები ჩრდილავს...

შემოვა მორიგე მასწავლებელი და მოახსენებს დირექტორს, რომ გაკვეთილები ცდება ამა და ამ კლასში. დარაჯი აუწყებს რომელიმე ინვენტარის დაზიანების შესახებ. ახალგაზრდა პედაგოგი შემოუძღვება თმაქოჩორა ბიჭუნას და განუცხადებს, რომ დღეს მეხუთეჯერ დააგვიანა მან გაკვეთილზე.

არ უყვარს ნათელა მუჯირს, როცა რომელიმე ბავშვი უმიზეზოდ აგვიანებს ან აცდენს გაკვეთილებს. მაშინ მისი მომავალი ბუნდოვანი და საშიში ეჩვენება გამოცდილ პედაგოგს...

მეათე კლასში იყო ელ. ამირეჯიბი, ბეჯითი, თითით საჩვენებელი ბავშვი. უცებ აიყარა გული სწავლაზე, მიატოვა სკოლა. წუხდნენ პედაგოგები. დირექტორი თვითონ წავიდა მოსწავლის ბინაზე, ერთხელ, მეორეჯერ, მესამედ... ეთათბირა მშობლებს! გამოარკვია ყველაფერი და წამოიყვანა ბავშვი სკოლაში, რომელმაც შემდეგ ფრიადზე დაამთავრა სკოლა.

არიან ბავშვები, რომელთა გამოსწორება მეტისმეტად ძნელია. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა ვიტალი ტერეხოვი. ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი და ცელქი ბიჭი. მას დედ-მამა არ ჰყავდა და მოხუცი ბებია ზრდიდა. მოსწავლე გაკვეთილებს აცდენდა, საშინაო დავალებას არ ასრულებდა, მასწავლებლებს ეკამათებოდა, ქუჩაში ჩხუბობდა. მის შესახებ იმსჯელეს პედაგოგიურ საბჭოზე, მოსწავლეთა საერთო კრებაზე, მშობელთა კომიტეტის სხდომაზე და ბოლოს დაისვა მისი სკოლიდან გარიცხვის საკითხი. მაგრამ დირექტორი — ნათელა მუჯირი წინააღმდეგი წავიდა. მას არ შეეძლო საბჭოთა სკოლიდან მოსწავლის ქუჩაში გაგდება. ვიტალს ქუჩა კი არ გამოასწორებდა, პირიქით, ნაძირალად და საშიშ პიროვნებად აქცევდა. დირექტორმა გადაწყვიტა გზასაცდენილი ბავშვი სამსახურში მოეწყო, სასწავლებლად კი საღამოს სკოლაში გადაიყვანა და სასარგებლო შრომითი წახალისებით მისი პიროვნება აემაღლებინა.

წარსულებზე ფიქრსა და ზრუნვას თავის პედკოლექტივთან ერთად ყოველთვის ახერხებს ნათელა მუჯირი. 20 აგვისტოს, როცა ისინი კვლავ იკრიბებიან საზაფხულო არდადეგების შემდეგ, პირველ რიგში კურსდამთავრებულთა ამბავს მოიკითხავენ — მოხვდნენ თუ არა მათი ყოფილი მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებლებში და თუ არ მოხვდნენ, სად მუშაობენ, სად შრომობენ. სასიხარულო და საამაყოა მათთვის, როცა მათი სკოლის აღზრდილები ეწყობიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, შრომობენ ქარხნებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, სავალდებულო სამსახურს გადიან საბჭოთა არმიის რიგებში.

მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში გამოცდილი პედაგოგი ყოველთვის ეყრდნობა ოჯახს, მშობელთა კომიტეტს. ბოლო წლებში მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის ს. პუტილოვის თაოსნობით სკოლამ შეისწავლა 1535 მოსწავლის ოჯახური პირობები. მშობელთა კომიტეტის დახმარებითვე აწყობენ საუბრებს ძნელადაღსაზრდელი ბავშვების მშობლებთან, სკოლაში იბარებენ ისეთ მშობლებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის სწორ აღზრდას. ახლახან მშობელთა კომიტეტისა და პედაგოგიური საბჭოს ყურადღების ცენტრში იყო გლაფირა კულიშოვა. მისი შვილი ვლადიმირ კულიშოვი მე-5 კლასშია, იგი თავნება, მოურიდებელი ბავშვია, როგორც სკოლაში ისე სკოლის გარეთ. დედამ დასჯის სხვა ფორმა რომ ვერ გამონახა, ბავშვი ბნელ სარდაფში ჩაკეტა. შეშინებულმა ვლადიმირმა ყვირილი ატეხა. ხმაურზე მეზობლები მოცვივდნენ, მერე ეს ამბავი სკოლას აცნობეს. კლასის ხელმძღვანელმა ბავშვის სარდაფიდან ამოყვანა მოითხოვა. დედა გაჯიუტდა, მაშინ მასწავლებელმა მეზობლების დახმარებით თვითონ გაათავისუფლა მოსწავლე და სკოლაში წაიყვანა.

მეორე დღეს ს. პუტილოვის წინადადებით მშობელთა კომიტეტისა და პედაგოგთა გაერთიანებული სხდომა მოიწვიეს. გაიწვიეს ვლადიმირის დედა. მკაცრად დაგმეს მისი საქციელი, გააფრთხილეს, რომ თუ იგი კვლავ გაიმეორებდა მსგავს რაიმეს, დედობის უფლება ჩამოერთმეოდა.

მშობელთა კომიტეტის დახმარებით შექმნა ნათელა მუჯირმა ფულადი ფონდი, რომლითაც იგი უდედმამო, გაჭირვებულ ბავშვებს ეხმარება. პეტროვებს — სამ და-ძმას — მამა არ ჰყავდათ. უეცრად დედაც გარდაეცვალათ. უფროსი ძმა საბჭოთა არმიის რიგებშია. დარჩნენ ბავშვები უპატრონოდ. სკოლის ფულადი ფონდიდან ეხმარება მათ ნათელა მუჯირი.

დირექტორის ფხიზელი, გამჭრიახი თვალი სკოლის ყველა კუნჭულს სწვდება. მისი ყოველდღიური საზრუნავი მოსწავლეთა სწავლის პირობების გაუმჯობესებაა. ნათელა მუჯირს აწუხებდა ის ფაქტი, რომ სკოლას ორ ცვლად უხდებოდა მუშაობა. სივიწროვეს დიდი უხერხულობა შეჰქონდა 1535 მოსწავლის ცხოვრებაში. პენსიონერი პედაგოგის რ. ფასეიშვილის რჩევით ნათელა მუჯირმა კლასების მეცადინეობა კაბინეტებში გადაიტანა, რის შედეგადაც გაიზარდა ინგლისური, გერმანული და ფრანგული სპეციალური ჯგუფები.



მე-11 საშუალო სკოლაში არის მთელი რიგი კლასები, სადაც ჩამორჩენილი ბავშვები თითქმის არ არიან. პედაგოგები მონდომებით მუშაობენ ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. ტარდება მათთვის დამატებითი გაკვეთილები და კონსულტაციები. პედაგოგიური საბჭო სისტემატურად ამოწმებს მასწავლებელთა მომზადების დონეს გაკვეთილზე შესვლის წინ და მეტ კონტროლს უწევს ახალგაზრდა პედაგოგებს. ამიტომაა, რომ დირექტორი უფრო ხშირად მათ გაკვეთილებს ესწრება. მის თვალწინ ყოველდღიურად იზრდებიან ახალბედა მასწავლებლები. მისი ყოფილი მოსწავლეები იყვნენ და ახლა კარგ პედაგოგებად ითვლებიან: ნელი ხუბაშვილი, ლიალია ჩხიკვაძე, ოფელია ოგანეზოვა, ვერა შავკანი, ვალენტინა ეძოვა და სხვები.

თვით ნათელა მუჯირი ქიმიას ასწავლის. მისი გაკვეთილები ყოველთვის გასაგები და ადვილად შესათვისებელია მოსწავლისათვის. ასე იყო ყოველთვის — მასწავლებელი ხსნის თეორიას, ცდებს ატარებენ ბავშვები და ამ ცდების საფუძველზე თვითონვე აყალიბებენ ფორმულებს დაფაზე.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ნათელა მუჯირი ყოველთვის პოულობს დროს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის.

დაუფასებელი არ დარჩენილა ხანგრძლივი და უმწიკვლო შრომა. 1953 წელს ნათელა მუჯირს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული პედაგოგის წოდება მიენიჭა. აქვს მთავრობის ჯილდოები: „წითელი დროშის" ორდენი, „საპატიო ნიშნის" ორდენი, პიგელები.

• • •

სექტემბრის ზარების წკრიალზე კვლავ ფართოდ გაიღო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კარი, ჩვენი მომავალი თაობა კვლავ თვალებში შეაცქერდა თავის აღმზრდელებს. ადამიანებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ უდიდესი და უკეთილშობილესი მოვალეობა — აღზარდონ ახალი, სულით ძლიერი, შრომისმოყვარე, კომუნიზმის მშენებელი ადამიანები.

ი. გიორგობიანი

# თითქოს ცისკენ აწვდილი ხელებია

## მეზღვაურის ცოლი

თბილისში ჩრდილები ეზოში სხვანაირად წვებოდნენ, სახლის წინ ხეები იგრძელებდნენ თავებს. მერე მზე ქვემოდან ახედავდა ფოთლებს და გოგონა გარბოდა პიშკრისკენ.

ეზოში შემოდიოდა ახალგაზრდა მამა—კუნთებდაბერილი და გარუჯული. მამა ქარხანაში მუშაობდა და გოგონა ამაყობდა, რომ ის ღონიერი იყო. როცა ომი დაიწყო, მამა წავიდა. გოგონა ფიქრობდა, რომ ის მტერს მოერეოდა და დაბრუნდებოდა. ომი რომ გათავდა, გოგონა მაშინ მეცხრე კლასში იყო. მან გაიგო, რა იყო იმედგაცრუებული ლოდინი.

ტალინში სულ სხვანაირად შემოდის საღამო. აქ სახლის წინ ეზოში ჩრდილები არ წვებიან თბილისურად. აქ ვიწრო ქუჩაზე მზის ჩასვლისას ფოთლები არ ირეკლავენ სხივებს და სიბნელე უფლებამოსილი მკვიდრდება. თბილისელი გოგონა ტალინში ლამაზ ქალად ითვლება და მეზობლებმა იციან, რომ ლამაზი ქალი ღელვით ელის საღამოს გემის შემოსვლას ნავსადგურში.

საღამოები ტალინში გრილია. ქალი მხრებზე ისხამს თეთრ შალს, ფართოდ აღებს კარს და მიდის ნავსადგურისკენ.

ბინდი ჯერ კიდევ ნაცრისფერია და ქალი თეთრად მოსჩანს შორიდან. ის მიდის ოდნავ რხევით და ფეხი ეფლობა ქვიშაში. პორტისკენ ქვიშა წვრილია, გრილი და ალერსიანი. ერთი თვის წინ თბილი იყო ქვიშა. მაშინ ქალი გვერდით მიყვებოდა ახლად შეუღლებულ ქმარს, რომელსაც ძალიან უხდებოდა მეზღვაურის ფორმა.

მეზღვაურის ფორმიანები პორტისკენ მიმავალს ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან. თითქმის ყველა ერთნაირია — ძირს დაშვებული ხელებით, განიერი მხრებით და ტუჩის კუთხეში მოქცეული პაპიროსით. თითქმის ყველა სერგეის ჰგავს — მკაცრი სახით და შორეული მზერით. ქალმა იცის, რომ ეს სიმკაცრე ზღვასთან ბრძოლაშია შეძენილი. ქალმა იცის, რა თბილია მეზღვაურის გული და ალერსიანი მისი ხელები. იგი მიდის ამ ხელების შესაგებებლად და არჩევს ყველასგან ერთს, რომელსაც ელის და არ ჩანს, რომელსაც სულ სხვანაირი აქვს ღიმილი.

ძნელია მეზღვაურის ცოლობა. მეზღვაურის ცოლობა ნიშნავს ლოდინს. მეზღვაურის ცოლი ხშირი სტუმარია პორტისა. პორტი ყოველდღე იღებს მეზღვაურის ცოლს. საღამოობით აქ ქალი უცდის თეთრი ხომალდის გამოჩენას და როცა ხომალდი იგვიანებს, ქალი წარმოიდგენს პატარა კაიუტას, რომელშიც ნელა ირხევა საწოლი და მასზე წევს დაფიქრებული მეზღვაური. „ჩემზე ფიქრობს" — გადაწყვეტს ქალი და დამშვიდებული ბრუნდება უკან.

მეზღვაური კი მართლა ფიქრობდა ქალზე, რომელიც ჩრდილოეთის ნავსადგურში დასტოვა. თეთრი ხომალდის კაიუტაში ნელა ირხეოდა საწოლი და მასზე დაფიქრებული ვაჟკაცი.

— მე უფრო გიყვარვარ თუ ზღვა? — ესმოდა ჩურჩული.

— შენ.

ქალი იცინოდა თვალებით, ყელით, პირით.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული



ფოტო ლ. იაკობაშვილისა

— მე უფრო გიყვარვარ თუ ზღვა? — მეორდებოდა ჩურჩული.

— ზღვა.

ქალი ბრაზობდა და წასასვლელად იწევდა. მერე ვაჟს სხვაზე გადაჰქონდა საუბარი და ქალი ყვებოდა, როგორ მოხვდა იალტაში.

— თბილისიდან იალტაში დასთან ერთად ჩავედი. ომი ახალი დამთავრებული იყო. დამ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა და იალტის თამბაქოს ქარხანაში გაანაწილეს. სწავლა მეათე კლასში იქ განვაგრძე. იალტა დანგრეული დაგვხვდა. ქალაქის მოსახლეობა მუშაობდა მის ალსადგენად. დიდებს მოსწავლეებიც ვეხმარებოდით. იალტის სტადიონი ჩვენ, ახალგაზრდებმა ავაშენეთ. მერე სამედიცინო ტექნიკუმში შევედი. იალტა უკვე გალამაზებული იყო. ადამიანები ისევ იხიბლებოდნენ მისით.

სამედიცინო ტექნიკუმი რომ დავამთავრე, უკრაინაში მოვხვდი ექთნად.

— და ჩვენ იქ შევხვდით ერთმანეთს, ხომ?

— აწყვეტინებს ვაჟი,

—უკრაინის სოფლებში ტრაქტორები კვალს ავლებდნენ. შავ ნიადაგში ითესებოდა ხორბალი. ადამიანები მინდვრებში იყვნენ გაკრეფილნი. მათ არ იცოდნენ მოსვენება. ქვეყანას სჭირდებოდა მეტი პური, შაქარი, ბოსტნეული. ამ ადამიანებს მე მინდორში ვაკითხავდი და იქ ვმკურნალობდი.

— და ჩვენ იქ შევხვდით ერთმანეთს —უკრაინაში ჩამოსული მეზღვაური სერგეი მარდაშოვი და თბილისელი ნატა აბჟანიძე...

კაიუტაში მეზღვაური დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა ქალზე, ჩრდილოეთის ნავსადგურში მის ლოდინში რომ დასტოვა.

ქალი კი მიეჩვია ლოდინს. მას უკვირდა როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ლოდინის გარეშე. ლოდინი უფრო აძლიერებდა სიცოცხლის სიყვარულს. ლოდინში იყო თავისებური განცდები და სულისხვანაირი სიხარული.

თხუთმეტი წლის შემდეგ შეიცვალა ნავსადგური და ტალინის მაგიერ ოდესიდან გადის მეზღვაური. თხუთმეტი წელი ცოტა არ არის. ამ წლებში მეზღვაურმა მოასწრო ეცხოვრა ხმელეთზე, ეშენებინა სახლები, მოეწყო ოჯახი, დაეზარდა შვილები.

ტალინიდან მეზღვაური დემობილიზებული გამოჰყვა ცოლს თბილისში. მათ ბავშვი შეეძინათ. შემდეგ ცოლქმარმა მინგეჩაურის ჰესის მშენებლობაზე დაიწყეს მუშაობა. სერგეი ელექტრიკოსად მოეწყო, ნატალია—ლაბორატორიაში. საქართველოს რომ ახალი ელსადგური შეემატა, ქართველების სიძემ თბილისის მშენებლობა დაიწყო, ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენზე ამწე ჩაიბარა.

ოჯახში მეორე შვილი გაჩნდა. ახლა დედა იშვიათად გამოდიოდა სახლიდან. როცა ბავშვი მოიზარდა, ნატა მაშინ ავიდა ქმართან ამწეზე. სიცილი დააყარა სერგეიმ:

— გეშინია?

— არა.

— რომ კანკალებ?

— არა.

ნატა ყოველდღე ადიოდა ქმართან. ქმარმა მას ასწავლა მუშაობა ამწეზე და ერთხელ, როცა სერგეი ცვლიდან შინ დაბრუნდა, ცოლი წავიდა სამუშაოდ.

მეზღვაურმა კი დიდხანს ვერ გასძლო ხმელეთზე. მას ზღვა ეძახდა და ისიც გაჰყვა ამ ძახილს.

ოდესის ნავსადგურში ამაყად დგას ვეშაპთმჭერი „საბჭოთა უკრაინა“. გემბანიდან სერგეი მარდაშოვი ეთხოვება ცოლშვილს. გემი დინჯად ტოვებს ნაპირს. ის შავი ზღვით გავა ხმელთაშუა ზღვაში, იქიდან ატლანტიის ოკეანეში შეცურდება, ეკვატორს გადაივლის და ანტრაქტიდაში გაზაფხულს მოუსწრებს. დიდი გზაა გასავლელი. ბევრია სიძნელე და დაბრკოლება, ჯერ კი მაინც ახლოა ნაპირი და სერგეი ხედავს, როგორ პატარავდებიან მისიანები ნაპირზე. შემდეგ ნატა და ბავშვები თბილისში წავლენ და კედელზე გაკრულ რუკას ყოველდღე დახედავენ. ეცოდინებათ, როდის ჩაუვლიან მეზღვაურები სტამბოლს, როდის გადიხდიან ნეპტუნების ზეიმს, როდის დაიწყება ვეშაპთჭერა და როდის აღნიშნავენ გემზე სერგეის დაბადების დღეს. ოკეანეში მოგზაურებს ზოგჯერ აისბერგები წამოეწევათ. მუქი მოლურჯო ტალღა შავ სვეტად შეიკვრება. ადამიანები განერიდებიან აისბერგებს და მშვიდად გასწევენ წინ. მარტის თვეში ყინულები დაიწყებენ ცურვას, გემი უკან დასაბრუნებლად აიღებს გეზს.

ოდესის ნავსადგურში ჯერ ანძები გამოჩნდება, როგორც ცისკენ აწვდილი ხელები და მერე ამოცურდება ხომალდი.



ჯერ კი წინ გზაა, შვიდი თვის სავალი გზა. მეზღვაურის ცოლი აღარ ჩანს ნაპირზე. ნაპირიდან ვერც სერგეის ხედავენ შვილები. ცა და მიწა შეუერთდა ერთმანეთს და გემბანზე ჩამოსხდნენ თოლიები.

## ღია სარკმელი

ანძის კიბეები მოათავა და კაბინაში შევიდა. ცხელმა ჰაერმა სუნთქვა შეუკრა. სარკმელი ღია იყო, მაგრამ იქიდან სიცხის მეტი არაფერი შემოდიოდა. ქალმა სარკმელში გაჰყო თავი. სახეზე ალმური მოედო. გარდაბნიდან მონაბერი ქარი მზესთან ერთად ცეცხლს უკიდებდა ამწეს. ქალმა სახელოებიანი მაისურის გახდა გადაიფიქრა, დამწვარ მკლავებზე მზის სხივებს არ დაახედა, ამწე აამუშავა და ორტონანახევრიანი ბეტონის კასრი ქვემოთ მომუშავე ადამიანებს თავზე გადაატარა. კაუჭი რომ ტვირთისაგან განთავისუფლდა და მიმზმელმა ვერა მიხულიამ მას ახალი კასრი მოსდო, ნატამ სამი ტონა ტვირთის გადაზიდვა ათ მეტრ მანძილზე გაითვალისწინა და ამწე მოსაზიდ ობიექტს მიუახლოვა. მერე ყურადღება დაძაბა, გამაფრთხილებელი ნიშანი მისცა და ეს უმძიმესი ბეტონი ასწია და გადაატარა.

დიდი ხანი არ არის, რაც ნატა აბჟანიძეს საქართველოს საუკეთესო მექანიზატორის წოდება მიენიჭა. ეს მიტომ, რომ მან მეამწეთა მუშაობის მეთოდები გააუმჯობესა და მანქანის მანევრირების ხარჯზე დრო მოიგო. მისი ამწე კაპიტალური შეკეთების გარეშე ხანგრძლივად მუშაობს. ამწეს გამძლეობის ვადა რვაჯერ გაიზარდა.

სამი წლის წინათ ნატასთვის ეს ამბავი რომ ვინმეს ეთქვა, არ დაიჯერებდა. გეგმით დადგენილი იყო, რომ ამწე კაპიტალური რემონტიდან რემონტამდე 8 ათას საათს იმუშავებს. ნატამ მანქანის კარგი მოვლით, ყოველდღიური შემოწმებით, ყოველი დეტალის წესრიგში ყოფნით კაპიტალური რემონტის გარეშე მუშაობის ვადა 20 ათას საათამდე გაადიდა.

ეს ისეთი შედეგი იყო, რომ მექანიზატორი სერიოზულად დაფიქრდა: 20 ათასი საათი ზღვარი არ შეიძლება იყოს, სამუშაოს დაწყებამდე თუ ყოველთვის ვნახე რა უჭირს ამწეს, სად მცირდება დაზეთვა, ჩემი ხელით ჩავატარებ ზოგიერთ უმნიშვნელო რემონტს, მანქანა მეტსაც შესძლებს, მანქანას დავიმორჩილებ.

წელიწადზე მეტია კაპიტალური რემონტი არ დასჭირვებია ამწეს. ეს მასალები, ახლახან რომ ახალმშენებლობებისთვის დატვირთეს, ნატამ უფრო ნაკლებ დროში გადაიტანა.

შუადღის სიცხე თანდათან კლებულობს. ღია სარკმლიდან ნიავი შემოდის და თმის გაოფლილ ძირებს აგრილებს. ახლა ქარიც რომ ამოვარდეს, ნატას არაფრის ეშინია. თბილისში ქარი ხშირად იცის. ზოგჯერ იგი რამდენიმე დღე გრძელდება. ქარიან დღეებში წინათ ამწეს მექანიზმებში ჩადიოდა სილა და მანქანის დაზეთვისას საჭირო იყო მექანიზმების დასუფთავება. ნატა ვერ ურიგდებოდა მანქანის მოცდენას. ცდილობდა დაზეთვის ისეთი საშუალება ენახა, რომ მანქანის დამტვერიანება თავიდან აეცილებინა და მიაგნო ამ საშუალებას. პატარა სატავოტნეების მაგიერ გამოიყენა დიდი სატავოტნეები, რომლებიც 200 გრამ ზეთს იტევს და მექანიზმშიც ღრმად ჩადის. ამ ახალი გაუმჯობესებით ნატამ დრო მოიგო.

საღამოვდება. ნატა თავს ყოფს სარკმელში. გარდაბნიდან მოჰქრის მატარებელი და ქალი ხელს უქნევს მგზავრებს. ამწეზე ახლა ისე არ ცხელა, როგორც ვაგონში. თუ ამწეს სარკმელში თავს გაჰყოფთ, უფრო იგრძნობა სიგრილე. ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა ნატას, როცა სარკმელში გადახედვა სცადა და ვერ შესძლო. საშუალო სიმაღლის ქალმა მხოლოდ მაშინ ინატრა, რომ მაღალი ყოფილიყო. მეორე დღეს დურგალი ვახო არუთინიანი დაიბარა, რომ ფეხის საბჯენი გაეკეთებინა მისთვის. ძლივს ავიდა ამწის კიბეებზე მამაკაცი. მერე ქალის შერცხვა და უხერხულობის დასაფარავად ამწის მუშაობით დაინტერესდა. ეს დაინტერესება შემდეგში სერიოზული გამოდგა და ნატას დახმარებით დურგალი ვახო მექანიზატორი გახდა. ასევე შეასწავლა ამწის მართვა ნატამ მებეტონეებს — ალა მალცევას და გალინა ტიხომიროვას ახლა ნატა ღია სარკმლიდან ხედავს, როგორ გადააქვთ მათი ბრძანებით ამწეებს ტვირთი.

სარკმლიდან ბევრი რამ ჩანს. ჩანს თბილისი თავისი სიძველით და სიახლით, ჩანს ქალაქი თავისი ხვალინდელი დღით. ნატა ამ სარკმლიდან სხვა თვალით იყურება — სულ ცოტახნის წინათ რომ ამწემ მანქანებზე მასალები დატვირთა, ისინი ხვალ ქალაქის ახალმშენებლობებზე აღიმართება. ამ სარკმლიდან ნატას ესმის თბილისის ძარღვის ფეთქვა. აქედან ხედავს, როგორ წყნარად შემოდის საღამო და როგორ იკვეთებიან ნაცრისფერ ბინდში თეთრი სახლები. ნატას რატომღაც ამ სახლების დანახვისას ახსენდება ცისკენ აწვდილი ხელები.

ახსენდება თეთრი ხომალდი, თავისი თეთრი ანძებით. ახსენდება ოკეანეში შესული ვეშაპთმჭერი „საბჭოთა უკრაინა" და მეზღვაური სერგეი მარდაშოვი. ახსენდება მარტის თვე და ვეშაპთმჭერის მეზღვაურების დეპეშა: „გილოცავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობას".

პროჟექტორები სიბნელეს ჰკვეთენ და ამწეს ბოლო ტვირთის გადაზიდვაში შველიან. ნატა სულ არ ფიქრობს, რომ ღამეა, დროა ჩამოვიდეს, ქალურად გამოეწყოს და წავიდეს.

პროჟექტორების შუქზე ის სარკმლიდან ხედავს სინათლით გაჩაღებული გემის შემოსვლას ნავსადგურში. მოდის ამაყად, მოდის როგორც თეთრი გედი და მოაქვს ლოდინის დასასრული, მოაქვს შეხვედრა იმისათვის, რომ ისევ დაშორდნენ.

პროჟექტორები სიბნელეს ჰკვეთენ და მათ შუქზე გემები შემოდიან ნავსადგურში.

ლია კაკაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალიანა

სანდრო მეტრეველი

მხატვარი დ. ხახუტაშვილი

უცნაურია, არა?

სოფელი ლიას ხალიანს ეძახის, ხალი კი არსად უჩანს...

ეძახიან და არც კითხულობენ, რატომ ჰქვია ლიას ხალიანი.

„ლია ხალიანა, ლია ხალიანა..“

* * *

ქვებს ადნობს აგვისტო.

ორნი შევბმივართ აღმართს. ბილიკს გვიღობავს ეკალბარდები, სახეში გვცემენ ტოტები. მიწის ნესტი შიშველი ფეხებიდან საამოდ იჭრება ტანში, გრილი ქრუანტელი დაფათურობს სხეულში.

ქვებს ადნობს აგვისტო.

ბელღორი კი ღმუის, შხუის, ქაფდება და იმსხვრევა ქვებზე, მორებზე. ალაგ დაგუბდება, შედგება, სულს მოითქვამს, ფაფარს დაიმშვიდებს, გალურჯდება და... დგას.

ამ გუბეში ვბანაობთ ხოლმე ბიჭები.

ღრმაა ეს გუბე, კაცს ყელამდე ფარავს.

განიერია, მოცურავის ათი მოსმაა აქეთ-იქით.

სუფთაა ეს გუბე და ლურჯი კენჭები ანათებენ ფსკერიდან.

გზა-გზა ვიხდით მოკლე ხალათებს და მოკლე შარვლებს.

ერთი, ორი და... სამს ვეღარ ვამბობთ. გავშეშდით,.. უნებურად ჩავიმუხლეთ.

სიზმარია თუ მოჩვენება?!

უკან დახევა გვიანია, გოგოები შეგვნიშნავენ, გოგოები კი არა, ქალიშვილები.

თითქოს ხაფანგში ვართ, თვალებს დაჭერილი კვერნებივით ვაცეცებთ, ვიწურებით...

ვითომ გვრცხვენია?

არა! კი არ გვრცხვენია, მაგრამ ისინი დიდი გოგოები არიან, უკვე გასათხოვრებიც, ჩვენ კი მეშვიდე კლასის მოწაფეები ვართ, ისინი რომ ჩვენი ტოლები იყვნენ, ალბათ, ქვების სროლით დავაფრთხობდით, გუბედან ბაყაყებივით ამოვყრიდით და ჩვენ ჩავცვივდებოდით.

მაგრამ ისინი დიდები არიან. შერცხვებათ.

ის კი არა, რომ შეგვნიშნონ, ალბათ, წივილს ასტეხენ, ტყეში კურდღლებივით გაიფანტებიან.

ამიტომ ვგავართ ლოდებს. გზა არც წინა გვაქვს, არც უკან.

ბელღორი შიშინებს, ნაპერწკლებს ისვრის. ჩვენი საფარი საიმედოა. ზღაპრული ბანაობა გრძელდება.

ჯერ მხოლოდ გაწუწული თავები მოუჩანთ, დაშლილი ნაწნავები წყლის ზედაპირზე დაცურავს.

დადგა გუბიდან ამოსვლის დრო.

— თანდილა, — ვჩურჩულებ, მაგრამ ხმა ყელს არ ამოსცდა,—თანდილა, გესმის? — და თვალით ვანიშნებ—უკან დავბრუნდეთ. მაგრამ ის თავს აქნევს უარის ნიშნად და ქალიშვილებს თვალს ვერ აშორებს.

თანდილა ერთხელ ჩარჩენილია კლასში, თხუთმეტი წლისაა...

აი, თინა. წყლიდან ამოდის, ზურგი მზეზე უელავს, ქათქათა ზურგი. მკლავები ტყვესავით აღმართა, სველი თმა მაღლა აიტანა და ჰაერში დაწურა. ნაწური წყალი მრგვალ მხრებზე შეთამაშდა, დაბლა დაეშვა ვერცხლის წვეთებივით და თეძოებიდან პირდაპირ ქვებზე გადაცვივდა.

ეს დარეჯანია, შავგვრემანი, შახიანი, მაგრამ ტანი არც ისე შავი ჰქონია, ფოლადისფერია, დაბალი და გვრიჭასავით შეკრული.

დარეჯანი ღონიერიცაა, რამდენი ბიჭი გაულახავს ორიოდე წლის წინ...

აგერ, ჩვენ წინ დგას იგი, ხელში ბალახის ღერი უჭირავს, თინას იღლიაში უღიტინებს, თინა კისკისებს. დარეჯანს იშორებს და ვერც იშორებს.

შეიშმუშნა თანდილა, საფარში გასწორდა და სათვალთვალოდ უკეთ მოეწყო. მე გამეცინა, როცა თინა დარეჯანს გამოუდგა, კენჭი ესროლა, ქვა ტანმა აირეკლა და ისევ თინას დაეცა ფეხზე.

შემეცოდა თინა, კინაღამ ატირდა.

ასე მკვირცხლი თვალები არასოდეს ჰქონია თანდილას.

ალბათ, მეც.

ვუყურებდით ამ მშვენიერებას, მაგრამ რა მიზნით? ეს მაშინ არ ვიცოდით. იქნებ თავისთავად ლამაზი იყო ასეთი სანახაობის ხილვა და ჩვენც ვუმზერდით მთელი ბავშვური სიხარბით, ვაჟკაცის მოთმინებით...

და გარბოდნენ წამები...

უცებ, ლია შემობრუნდა ჩვენსკენ... ლია, სოფლის თვალი, სიხარული, მშვენება, ცისფერი თვალებით, წერწეტა ტანით, აზიდული მკერდით, მაღალი თეძოებით და პირზე მოუშორებელი ღიმილით.

ლია შემობრუნდა ჩვენსკენ და... თანდილამ მე გადმომხედა.

ლიას მარცხენა ძუძუს ქვეშ შაურიანის ოდენა ხალი მოუჩანს...

დარეჯანი რაღაცას ეუბნება ლიას, — არ გვესმის... ლია ტუჩებს იბზუებს, თითქოს ებუტება, დარეჯანი რაღაცას ჰპირდება...

ჩვენ კი არაფერი არ გვესმის, ბელღორი საიმედოდ იცავს ქალწულთა საიდუმლოს... ჩვენ არც გვსურს რაიმეს მოსმენა, ოღონდ ვუყუროთ ამ მშვენიერებას — ბუნებისა და ადამიანის შეხმატკბილებულ კავშირს, ქალწულთა საინტერესოდ აფეთქებულ მკერდებს.

რატომღაც ერთი ნატვრა გავივლე გულში: ნეტავ, დიდი ბიჭები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ იყვნენ ახლა!.. განსაკუთრებით ჩემი ბიძაშვილი გოგი მომესურვა. მას ხომ ლია უყვარს!

ლიას თითქოს არ უყვარს გოგი... მამამისსაც არ უყვარს გოგი...

ლია, თურმე, ამბობს: კარგი ბიჭია გოგი, ჩემგან წუნი არ ეთქმის მაგრამ საქმეს გულს არ უდებსო.

ლიას მამა — აბესალომი, თურმე, ამბობს: ჩემი გოგო შრომასაა ნაჩვევი, შრომაში გაზრდილია, მშრომელი დედ-მამის შვილი და უსაქმურ კაცს ვერ იგუებს; სჯობია, იმ ბიჭმა თავი დაგვანებოსო.

გოგი, მე ვიცი, გულკეთილი ბიჭია, ცოცხალი, მოუსვენარი და მაინც ამბობენ: შრომა ეზარებაო. ღვინოს სმა კი, დასტურ, არ ეზარება.

...თანდილა თვალებს აფახურებს, ჭინკები უცეკვავენ თვალებში, რაღაცის თქმა უნდა. ლაპარაკი კი სასტიკად აკრძალულია!

ბოლომდე აღარ დავუცადეთ ქალიშვილების ჩაცმას იმის შიშით, რომ წამოსვლისას გზად არ შევფეთებოდით...

ხოხვით გამოვიარეთ ოციოდე ნაბიჯი და, როგორც იქნა, წელში გავსწორდით.

მოვქუსლეთ... ერთხანს ხმა არ დაგვიძრავს მე და თანდილას.

სოფელს რომ მივუახლოვდით, თანდილა შევაჩერე და მკაცრად ვუთხარი:

—თანდილა, ლიას ხალის ამბავი ჩვენი პირიდან არ უნდა ამოვიდეს, ხომ იცი!

— ჰო, ვიცი.

და ყურებამდე გაეხა ტუჩები.

მაგრამ... სიტყვა მე გავტეხე.

სიტყვა გავტეხე, რადგან მეგონა, გოგი შეინახავდა სიტყვას.

გოგი მთვრალი მოვიდა. მე ღობეს გადავევლე, წინ გადავუდექ.

— გამარჯობა შენი, — და კისერში წამავლო ხელი. მომიჭირა, — სად იკარგები, ბიჭო, — და ხელი უფრო მომიჭირა.

— მეტკინა, გოგი, ბიჭო, მეტკინა! — გოგი ხელს არ მიშვებს.

— გოგი, მტკივა, რა!

— უნდა გეტკინოს, აბა?! რა ვაჟკაცი ხარ!

— გოგი, გამიშვი ხელი, მტკივა.

— არ გაგიშვებ! — და იცინის.

— გოგია, გამიშვი ხელი და რაღაცას გეტყვი, გოგია!

— რას მეტყვი?

— გეტყვი, კარგ რამეს გეტყვი, გოგია, ოღონდ გამიშვი!

— რა უნდა მითხრა, ბიჭო, იცი რამე თუ?

გოგი კისერს მოეშვა და მაჯას სწვდა.

— ვიცი, აბა! ხელი მიშვი. — და გამათავისუფლა.

ჩიტს რომ გაუშვებენ და შეიფრთხიალებს, ისე გავფრინდი, ღობეს გადავევლე და სიმინდებს შევერიე. მეგონა, არ გამომიდგებოდა, მაგრამ შევცდი: დამეწია გაქცეულს, მომწვდა და სიმინდებში ყირა გამაჭიმინა...

— ახლაც არ მეტყვი!?

მინდოდა სხვა რამ მომეფიქრებინა, მაგრამ ამ ჭიდილში ვერა მოვიგონე რა. ის კი სულს მალევინებდა, ისე მიჭერდა კისერში ხელს.

— ა, ვამბობ, გოგია, — და ვუთხარი...

* * *

ხუთი მეტრი სიგრძე აქვს ამ ქვას, მეტრი სიგანე, სოფლის შუაგულში დევს და საღამოობით კაცები სხდებიან ამ ქვაზე.

ამ ადგილს სანახშოს ეძახიან. აქ მუსაიფი ათას რამეს ეხება:

— სად იყავი დღეს, ნიკო?

— აშენაურში...

— ყურძენი თუ აპირებს დამწიფებას?

— აპა! კატას დააჭყავლებს ჯერ.

— აბესალომ, ეს გოგია რომ სიძობას გიპირებს, რას ფიქრობ შენ?

— კაი, თუ კაცი ხარ, ნუ მეტყვი, თუ ჩემი მეგობრობა გინდა.

— არა. დაუფიქრდი ამ საქმეს!

— ნუ მომიმდურებ საუკუნოდ, პავლე.

— არა, ისე გეუბნები. შე კაცო. მაშველებს ამზადებს, თურმე.

— მე არ მეხუმრება და...

— ვინც მოვიდა. გაუმარჯოს! — ენას ძლივს აბრუნებს გოგი, გოგი, ჩემი ბიძაშვილი. იგი ბარბაცით უახლოვდება სანახშოს.

— დროზე მოვედი, ხომ?

დუმილი.

— არა, ჩემი მოსვლა გეწყინათ, ხომ?!

— ვის ეწყინა, შე კაცო, რას ამბობ?

— ვის და აბესალომს, აგერ...

— რატომ, კაცო, შენი მოსვლა რად მეწყინება?

— რა ვიცი, აბესალომ, რაღაც თვალში ვერ მოგდივარ და...

— რაი, მერე, იქნებ არც მე მოგდივარ თვალში, მარა ეს შენი კი არა, ჩემი ბრალია.

— ქარაგმებიც კაი იცი, აბესალომ, კაციც კაი ხარ, მარა მე რა, მერე?

დუმილი.

— მე რა, მერე, აბესალომ. მე მთვრალი ვარ, ხომ? ეს ჩემი სირცხვილია, შენი კი არა.

— სიმთვრალე რა სირცხვილია. ვინც დალევს, ის დათვრება.

— ჰოდა, გენაცვალე სიტყვაში! დავლიე და დავთვერი, რა მოხდა, არაფერი!

გოგი წამით შედგა, ხალხს თვალი მოავლო, მერე აბესალომთან მივიდა, ერთხანს თვალებში უმზირა.

— აბესალომ, შენთან საქმე მქონდა...

— მერე ახლა გაგახსენდა?

— ჰო, ახლა გამახსენდა. რავა, ახლა რა უჭირს?

— არაფერი, მარა...

აბესალომს მიუახლოვდა, ყურთან ტუჩი მიუტანა, რაღაც უჩურჩულა.

— რა თქვი, ბიჭო? — გაოცებით ჰკითხა აბესალომმა.

გოგიმ ისევ გაუმეორა ყურში ნათქვამი.

და... აბესალომის ხმა მეხივით გავარდა:

— უყურე ამ მამაძაღლიშვილს, მე შენ გიჩვენებ, შე გველის წიწილო! — ვულკანივით აფეთქდა კაცი, დაგეშილივით ეცა გოგიას...

კაცები არ ელოდნენ ამას და ერთი წამი გონზე მოსვლას დასჭირდა. ამ წამმა ერთი მაგარი სილა უთავაზა ჩემს ბიძაშვილს. მეორე წამმა აბესალომი შეჰკრა. მესამემ გოგია გააშორა სანახშოს.

რა უჩურჩულა გოგიამ აბესალომს?

არავინ იცოდა. მე ვიცოდი. მახრჩობდა ბოღმა, ბრაზი. სიტყვა გავტეხე და იმიტომ.

* * *

აღარ მხიარულობს მხიარული აბესალომი... მარტოობას ელტვის.

სამშაბათს, ალბათ, გულმა ველარ გაუძლო და ნაშუაღამევს —

ჰოი, საოცრებავ... ჩემს ეზოში ბოძი დგას თუ აბესალომი, ვერ ვარჩევ...

ჩემს წინ დევკაცი დგას. მისი სახე უტყვია...

ენა მანამდე მქონდა თუ არა, აღარ მახსოვს.

აბესალომი ხელს მიწვდის, ხელში ქაღალდი აქვს ოთხად დაკეცილი:

— გოგიას მიუტანე ახლავე, გაიგე?

— გავიგე, აბესალომ ბიძია, გავიგე.

თურმე მქონია ენა.

* * *

ვერ უნდა ვიყო კარგი მახარობელი, მაგრამ მაინც მიმაქვს ქაღალდი.

გოგია გადარეულს ძინავს ახლა და არაფერზე ფიქრობს. კიდევ კარგი კაცია აბესალომ ბიძია. წერილით აფრთხილებს, ალბათ. ქურდულად კი არ ეპარება. წერილს უგზავნის. ალბათ, წერს: „გოგია, მიჰქარე ხომ, გოგია! ერთი ქალი გამიზრდია, გოგია, შენ რა ღირსი ხარ მისი... კვერცხის გულით გაზრდილი გოგო შემირცხვინე, ხომ? კვერცხივით გაგიმთხლევ ცხვირპირს“.

ასე სწერს, ალბათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს წერილი მე მიჭირავს ხელში.

ტყლაპივით ავეკარი გოგიას კარებს. შესვლა მიჭირს. მაინც უნდა შევიდე...

— რომელი ხარ?

— მე ვარ.

— რას დაბოდიალობ ამ შუაღამისას?

— შენთან გამომგზავნა აბესალომმა.

— ა? მოდი აქ... დაჯექი აგერ. რაიო? ეგ რა არის?

— წერილია, გოგია.

— მაჩვენე!

— გოგი, მე მიტომ კი არ გითხარი, რომ...

იგი ყურს არ მიგდებს, წერილს ხსნის.

— საიდუმლოს შენახვა არ გცოდნია, გოგია.

ის წერილს კითხულობს...

— ეს ხომ უსინდისობაა, მე გითხარი და შენ ბოროტ...

— მაცალე, ბიჭო, რას გაიტლიკე ენად!

მე დავმუნჯდი.

სამჯერ ჩაიკითხა ბარათი, სამჯერ შემომხედა და ბოლოს ნადირივით მეცა.

მე გაქცევა ვცადე, მაგრამ სადღა იყო გასაქცევი, გოგიას კლანჭებში ამოვყავი თავი.

მან კი თვალებში მიყურა, მიყურა და მოულოდნელად ჯერ შუბლზე მაკოცა, მერე — მარჯვენა ლოყაზე, შემდეგ — მარცხენაზე, ხელებზე, მკერდზე. ერთი ხელის დადება აღარ დამიტოვა დაუკოცნელი.

გაგიჟდა გოგია, შემეშალა ბიძაშვილი.

— გიხაროდეს, ბიჭო, გიხაროდეს!..

და ისევ დათვური ალერსი — მეტი არაფერი, არცერთი სიტყვა.

თვალი მაგიდისაკენ გამექცა, იქ ბარათი დევს.. იქნებ ქაღალდმა მითხრას რამე, ერთმა ნაგლეჯმა ქაღალდმა, რადგან გოგია ვერაფერს ამბობს, რადგან დამიმუნჯდა გადარეული ბიძაშვილი.

— ამოიღე, ბიჭო ხმა, ენა ხომ არ ჩაგიყლაპავს?

— მე თუ შენ, გოგია...

— შენ ბიჭო, შენ... მე რაღა ვთქვა, მითხარი, მე ახლა, ა, ამ წუთში ვიბადები, ბიჭო, ამ სეკუნდში. ჰოდა, როდის იყო ახალშობილი ლაპარაკობდა? მეც ვერაფერს ვიტყვი... მე დავმუნჯდები, დავქვავდები და ასე, ასე შევეგებები გათენებას, გესმის? თუმცა, არა, მოიხედე აქეთ. ახლა მე სიმღერა მინდა, გაიგე? უნდა ვიმღერო, გული, გული მთხოვს სიმღერას, მაღალ სიმღერას, ისეთს, აი, ცხრა მთას რომ გადაივლის.

— მოიცა, გოგია, მოიცა, გამიგონე!

უკვე მეშინია. მართლა მეშინია, კაცი გაგიჟდა, საცოდაობა მოხდა და მიზეზი მე ვარ, მეტი არავინ. ხელი ვტაცე პერანგში, დაკავება ვცადე, მაგრამ გოგია უკვე ეზოშია, დგას და ღრიალებს.

მე კი ბარათს დავაფრინდი. თვალები ამიჭრელა ძველებურმა ხელმა, ასოები აირივნენ, ერთმანეთში დაიხლართნენ. ახლოს მივიტანე ნაწერი თვალებთან.

„გოგი, მე კაცს მეძახის ქვეყანა, კაცი მქვია და მიტომ თავზე ქუდს ვატარებ, ხელისგულებზე კიდევ — ბზერებს. მარჯვენა მიჭრის, საქმე მიყვარს და ნამუსით არასდროს მივაჭრია. რაც დამითესია, მომიმკია კიდეც. თქვენი გაფუჭებული საქმე თქვენვე მოაგვარეთ, თორემ თუ სოფელმა და მტერ-მოყვარემ გაიგო ეს საქმე, ამ საქმეს მერე მე მოვუვლი და სანანებლად არ დაგრჩეთ ერთსა და მეორესაც. ბოროტებას ნუ ჩამადენინებთ და სიბერეში ნუ გამამწარებთ;. თუ ჭკუას მოიხმართ, დამალოცინეთ თავი.

აბესალომი".

სახტად დავრჩი. ეზოში კი გოგია ღრიალებს, მღერის. მერე ერთბაშად მოეშვა, მოიღალა, მოიქანცა, იქვე კუნძზე ჩამოჯდა და კუნძად იქცა.

მე მივუახლოვდი და თავზე დავადექი.

საბრალო გოგია! სახე ორივე ხელებში მიუმწყვდევია და ფიქრობს. მეც ვფიქრობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გარბიან წუთები...

უცბად ზეზე წამოიჭრა გოგი, მაჯაში ხელი მტაცა და წაიდუდუნა:

— გამიძეხი, ბიჭო, წინ!

— საით, გოგი?

— მივიდეთ, ვნახოთ.

— ვისთან? ვინ?

— აბესალომი, ბიჭო!

— რადა?

— როგორ თუ, რადა?

— ჰო, გოგი, რადა? მითხარი, რად უნდა ვნახოთ?

— შენ არ იცი. წამო, წამო, კაცს გული მოვგლიჯე, ბიჭო, ეს რა ვქენი... ახლავე უნდა მივიდე, ამ წუთში. უნდა დავიჩოქო მის წინ. აბესალომი ვაჟკაცია. სინდისით მდიდარი კაცი. მე კი... რა მიხაროდა, რა მამღერებდა? ნუთუ ის, რომ აბესალომი ქალს მაძლევს. მერა რა, ამას განა იმიტომ შვრება, რომ ჩემი სიძობა ენატრება? განა ნებით აკეთებს ამას?! მე ვაიძულე, ბიჭო, ტყუილი ვუთხარი, გავლანძღე ოჯახი. ლიას ხალზე ჩემი ტუჩები აჩნია-მეთქი, რამ მათქმევინა?! რა პირიდან ამომივიდა?

— ეგ ჩემი ბრალია, გოგი. მე რომ არ მეთქვა...

— შენი არა, შენ ჯერ ბავშვი ხარ და რა იცი რა ხდება ამ გულში. აბესალომმა დაიჯერა ჩემი ნათქვამი. ალბათ, ლიასაც რამე ჰკადრა, ლიას, წმინდანს... ჩემი მიზეზით, ჩემი ბრიყვობით, ჩემი...

გოგი აქვითინდა.

მანამდე არ მენახა მტირალი კაცი. ეს კი ყოველნაირ ტირილზე მეტი იყო.

* * *

საცაა გათენდება, აბესალომის სახლიდან კი შუქი იყურება...

— მიდი, ბიჭო, დაუძახე. — თავისთვის დუდუნებს გოგი და განათებულ სარკმელს თვალს არ აშორებს.

მე ფეხაკრეფით მივიწევ წინ, სარკმელს მივუახლოვდი და კედელს ხელი შევახე. ცივ ქვას ლოყა მივადე და ფანჯარაში ჩავიხედე. ჯერ ვერა გავარჩიე რა, რადგან ფარდამ დამიბურუსა. მხოლოდ ლაპარაკი მომესმა და მეც სმენა დავძაბე.

— დაუძახე!

— „სსსუ"...

აბესალომი მეუღლეს:

— ქალო, ლიას უყვარს ის ბიჭი?

— არ ვიცი. რამდენჯერ უნდა გითხრა, ქრისტიანი არა ხარ? დაიძინე ახლა, საცაა გათენდება...

— ქალო, რა დამაძინებს. მითხარი, თუ ღმერთი გწამს, უყვარს თუ არ უყვარს?

— არ ვიცი, გაიგე? არ უთქვამს ჩემთვის არაფერი.

—წეღან რომ ეკითხებოდი, არაფერი გიპასუხა? არ მიყვარსო, რა თქვა?

— ლოთიაო, ზარმაციო, სხვაფრივ კაი ბიჭიაო, რომ შეხედავ, გესიამოვნებაო.

—გესიამოვნებაო? იქნება, ქალო, რა იცი, შეიძლება, ქე მოუკლოს ღვინოს და საქმე იცნოს, ა, რას იტყვი შენ?..

— კი, მარა შენი საქციელი მაკვირვებს, აბესალომ. რას ჩააცივდი ამ გოგოს, რა გვეჩქარება მაგის გათხოვება, მეტი ვინ გვყავს?

— არ გვეჩქარება, მარა, — ხმას დაუწია კაცმა, — თავი მოგვეჭრა, გოგო გაგველანძღა, რას იტყვის, ქალო, სოფელი?

— ტყუილია, აბესალომ! ეგ ამბავი ჭორია და მეტი არაფერი.

— კი, რავა არა! შენ რომ დაგიჯერო — ტყუილია, ჭორია, მარა გოგო კი გაგველანძღა, და, ვისთვის ჭორია და ვისთვის ჭირი. იმ ბიჭმა მე რომ მითხრა და არ მომერიდა — სხვას უფრო არ ეტყოდა?

— რას ეტყოდა, კაცო, რას?

— რას და, რაც მე მითხრა...

— მთვრალი კაცის ნათქვამი რავა დაიჯერე!

დუმილი... მერე ისევ:

— მე შენ გეკითხები: რას იტყვის სოფელი? ჩვენ ორმა, მე და შენ გავზარდეთ ერთი შვილი და ისიც...

— რას ამბობ, კაცო?

— ასე იტყვის ხალხი, სწორედ ასე იტყვის. შენ კი იარე კარდაკარ და უთხარი ყველას: ჭორია-თქო, ტყუილია-თქო.

ზურგსუკან სუნთქვა ვიგრძენი. მოვიხედე: გოგი დგას და ყოველ სიტყვას ხარბად იჭერს, თან კბილებს აკრაჭუნებს, ხვნეშის.

— ჯერ გავიგო, რა პასუხს მომცემს.

— ვინ, კაცო?

— ვინ და ის ბიჭი...

— რომელი ბიჭი, აბესალომ, რომელი?

— რომელზეც ვლაპარაკობთ...

— უი, შეუთვალე რამე, თუ?

— აბა?

— უი, ჩემი სიკვდილი... რამ გადაგრია, კაცო? იქით ეხვეწები?

— ჰო, ვეხვეწები.

— კი მარა, ლოთი როა, ხომ იცი შენ?

— ვიცი.

—ერთი შრომადღე რომ არა აქვს, ხომ იცი!

— ვიცი.

— ოჯახს რომ ვერ არჩენს, ხომ იცი!

—ვიცი..

— თუ იცი და, რა ღმერთი გიწყრება მერე? სიმღერა და სცენაზე გამოსვლა ეყოფა მარტო? რაღაცა წიგნებს ჩაკირკიტებს, უმაღლესში მოვეწყობიო, მეტი არ იქნა ჩემი მტერი.

— ეგეც ვიცი, ვიცი!

* * *

უკან მოვიხედე. გოგი აღარსადაა, შარაზე ჩქარ-ჩქარა მიმავალს მოვკარი თვალი. უხმოდ მივყვები. იგი ბრაზობს, იმუქრება და ბურდღუნებს თავისთვის:

— ვითომ მამაჩემმა გამლახა...

— რა თქვი, გოგი?..

— არაფერი. ისე, ვითომ მამაჩემმა გამარტყა. რა მოხდა მერე?

— არაფერი, მეც რამდენჯერ ვუცემივარ მამას.

— უცემიხარ, ხომ?

— რავა არა.

— ჰოდა, მეც მცემა. ისე, შენ ყველაფერი გაიგონე, ხომ?

— კი, გავიგონე.

— ჰოდა, მეც გავიგონე. ძალიან კარგად გავიგონე. ახლა მე მიყურონ!—ცოტა არ იყოს, შემეშინდა. ვერ გავიგე, რას აპირებს, რას ფიქრობს. უცებ ღობის სარს მოავლო ხელი და მოამტვრია, ხელში მოიმარჯვა ჭოლოკი და მე განზე გავხტი. გრძელი ნაბიჯით უახლოვდება თავის სახლს.

გოგი ეზოში ჩავიდა და მარნის კარი ჩაალო. წამს უკან შუშის ჭურჭლების მსხვრევის ხმა გამოვარდა ეზოში. მერე მოჰყვა ღვინის გამაბრუებელი და წამქაო სუნი და გოგიაც გამოვიდა ეზოში,

ჭოლოკი შორს მოისროლა, პირდაპირ შარაგზაზე დასცა.

— კაცო, ვინ არის ამ კეტებს რომ მესვრის, — გაისმა შარაგზიდან კაცის ხმა, — თავი არ გამიხეთქოს, ხომ არ გაგიჟდა ვინმე?

ბრიგადირის ხმა ვიცანი. გოგი ღობეს გადაევლო და ბრიგადირს წინ გადაუდგა. მე მარანში შევიხედე და ღვინის სუნმა უკან გამომაგდო. იატაკზე წითელი ტბა იდგა.

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე, როგორც მეტყვი, სიამოვნებით,— ამბობს ბრიგადირი...

— დღესვე, გაიგე? დღესვე! — პასუხს არ აცლის გოგი, — მამაჩემის ცელს გამოვკვერავ, ტარი კარგი აქვს.

— კი, გოგი, კი, მაგას რა სჯობია. ველიგრძელას თიბავს ჩემი ბრიგადა, ერთი კვირაა თიბავენ, აბა...

— ჰოდა, ასე, — ასკვნის გოგი.

— ჰოდა, ასე, — თავს ვაქნევ მე.

— ასე, ასე, აბა! — ამბობს ბრიგადირი და სტვენით ორღობეს მიჰყვება.

ღამეც ტოვებს სოფელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წაუკითხეთ პატარებს

### ნაზი კილასონია

#### პრანჭია ბაჭია

გამოვარდა ბაჭია,
თეთრი თათი ასწია:
აჭია, ბაჭია,
ვარ ყველაზე პაწია.
შეხეთ! — როგორ მიხდება
წინსაფარი ახალი,
ზედ სტაფილო დავქარგე
და წითელი ჭარხალი.
ეს რომ ციყვმა გაიგო,
გადაბრუნდა ხარხარით:
გაცი. გაცი. ბაჭია.
შე ტრაბახა, პრანჭია!
ეგ ყვითელი სტაფილო
დაგიხატა მამილომ.
ეგ წითელი ჭარხალი,
მეზობელო, კეთილო,
სიცილით და ხარხარით
დაგიქარგა დედილომ.
დაიკარგე, ბაჭია,
შე ტრაბახა პრანჭია!
გაიპარა ბაჭია,
შერცხვენილი, პრანჭია.

#### გიოს დათუნია

ათუნია. დათუნია,
მე ვარ გიოს დათუნია.
გამარჯობა, გიო!
როგორ ბრძანდებიო?
კაცო, ვიყავ ტყეში,
მთელი ტყე მაქვს ხელში.
იქ შევსანსლე თაფლი,
მიტომაც ვარ დათვი.
გადავყლუნწე ფიჭა —
ასე ვიცი ბიჭმა!
ჰოდა, მიდი უთხარი.
რას მემდურის ფუტკარი?
რა დავაკელ ნეტავი,
რად მიჩხვლიტა ნესტარი?
რად გამიხდა ურჩი —
დამისივა დრუნჩი.
შევუსანსლე თაფლი?!
მიტომაც ვარ დათვი!
გადავყლუნწე ფიჭა? —
ასე ვიცი ბიჭმა!
ჰოდა, მიდი უთხარი,
შემირიგდეს ფუტკარი,
თორემ იმის თაფლსა
მივცემ ათას დათვსა.
და იმის ტკბილ ფიჭებს
სულ შევაჭმევ ბიჭებს.
ჰოდა, მიდი უთხარი,
შემირიგდეს ფუტკარი.
მაშ, ნახვამდის გიო,
ტყეში წავბრძანდიო!

#### ფისო და სანოვარა

მიაუ!
მიაუ!
მიაუ!
მშიაო, მშიაო, მშიაო.
წუწკი და მატყუარაო —
ვერ მაძღებს საწოვარაო.
სადა მყავს დედა ციცაო,
ძუძუ სავსე აქვს რძითაო.
თუ დედას ვერსად მიპოვნით,
ჩქარა მიშოვეთ ძიძაო!

### თამაზ შათირიშვილი

#### მსუნაგი

გრძელულვაშა ფისუნა
ლამის მოკვდეს დარდით —
ამას წინათ ცხელ ქვაბზე
დაეფუფქა თათი.
ფავარჯენი იშოვა,
ახლა ისე დადის.

#### კისკისა

„აბეზარა, ღრიალა,
მეტიჩარა ციალა!“ —
აბრაზებენ ბიჭები
ცეროდენა გოგონას,
რაღას არ ეძახიან,
აატირონ ოღონდაც.
ყურს არ უგდებს ციალა,
რას ამბობენ ისინი,
და მათ ჯიბრზე ხმამაღლა
იცინის და იცინის.

#### მოდით, გავაშენოთ!

აქეთ მოდით ყველა —
დოდო, ქეთო, მეგი,
ყველამ სათითაოდ
მოიტანეთ ნერგი.
რომ ჰაერი გვქონდეს
მუდამ წმინდა, საღი,
მოდით, გავაშენოთ,
პაწაწინა ბაღი!

# ႫႨႱႨ ႾႤႪႤႡႨႱ ႱႨႧႡႭ

## გარეთ წვიმს და ღამეა

მინებზე დაჟინებით წანწკარებს წვეთები წვიმის და თითქოს ოთახში შემოსვლას ლამობს. დაგვიანებული მანქანა წვიმის გუბეს გადასერავს და ჩაიქროლებს ფანჯრის წინ. ოთახში ძინავთ და ხედავენ სიზმრებს, ვითომ დიდი თქეშია ზღვაზე და ტლაშუნით ეხეთქებიან ტალღები ნაპირს.

რეკს ტელეფონი დაჟინებით. ქალის ხელი სიბნელეში მონახავს ყურმილს.

— მოამზადეთ საოპერაციო... ახლავე...

ცდილობს უხმაუროდ ადგეს. დერეფანში კი მაინც ხვდება ჭაბუკი, გამჭვირვალე ლაბადაში გახვეული. ქალს უნდა რაღაც უთხრას, უნდა გაუჯავრდეს, მაგრამ ბიჭი იღიმება, თვალებით იღიმება და თვალებით ემუდარება რაღაცას.

## მე გავხდები ქირურგი

...თეთრ საოპერაციო მაგიდაზე იღვრება უჩრდილო ნათურის სინათლე. ლაპლაპებს ნიკელის აპარატურა, მზად არის უამრავი წმინდა იარაღი.

ოპერაციას აკეთებს პროფესორი ნიკოლოზ კახიანი. მის ხელებს მისჩერებიან ახალბედათა თვალები. ისინი პირველად ესწრებიან რთულ ოპერაციას, პირველად ხედავენ ქირურგის ჯადოსნურ ხელს, ადამიანის მუცლის ღრუში რომ შედის. ფეხის წვერებზე დგება ციცქნა გოგონა, პირბადეაკრული გოგონა ცოცხალი თვალებით. ვიღაცამ გვერდი გაჰკრა — სახეზე ფერი არ გადევსო, გადიო აქედან. გოგონას არ ესმის თითქოს, მონუსხულივით შესცქერის პროფესორის ხელს.

— ნაკერი! — გაისმის ფართო, ნათელ ოთახში და თითქოს ექოს გამოსცემენ საოპერაციოს თეთრი კედლები.

და უცებ შეინძრა იატაკი ფეხქვეშ. ერთი კი შეხედა საოპერაციო მაგიდაზე ზეწარგადაფარებულ ბიჭუნას და...

დატრიალდა ირგვლივ ყველაფერი — ფანჯარა, პროფესორის ხელი, დანა, დეშამპი, ისევ ფანჯარა თავდაყირა...

— გაიყვანეთ საოპერაციოდან! — უკანასკნელად ჩაესმა პროფესორის ცივი ხმა.

...და როცა დამთავრდა ოპერაცია, როცა პროფესორი კახიანი გამოვიდა საოპერაციოდან, პირბადემოხსნილი, ოდნავ მოღლილი და დაინახა კედელს მიყრდნობილი გოგონა, იცნო მისი ცოცხალი თვალები, ხელი ჩაიქნია და თითქოს გოგონას კი არა, თავისთავს უთხრა:

— შენგან ქირურგი არასოდეს არ გამოვა!

წამწამს დაეკიდა ცრემლი, სინანულის, ტკივილის ცრემლი და მერე მთელი გზა სახლამდე ბაბუცას ერთი აზრი აეკვიატა, ჯიუტი და უდრეკი: მე გავხდები ქირურგი! მე აუცილებლად გავხდები ქირურგი!

თვალებს არ დაუჯერა პროფესორმა კახიანმა, როცა შემდეგ ოპერაციაზე ისევ შეხვდა მისი მზერა გოგონას ცოცხალ, ჯიუტ გამოხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას. არაფერი უთქვამს, მხოლოდ ხელით ახიშნა — აქეთ მოდექო, ჩემს გვერდით...

იცვალა გეზი ოცნებამ: მომავალმა პედიატრმა ქირურგად გახდომა ინება. სურვილი დიდი იყო და დაუოკებელი. იცოდა — ყველაფერი უნდა გაკეთდეს სწრაფად და ზუსტად — შენზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე; არ უნდა დაგავიწყდეს ავადმყოფიც, მაგიდაზე რომ წევს, გასამხნევებელი რამ უნდა უთხრა, ხან დროულად უნდა გაეხუმრო კიდეც...

შეიძლება მისგან, პროფესორ კახიანისაგან ისწავლა მედიცინის სიყვარული და დიაგნოსტიკის ოსტატობა. ისიც შესაძლებელია, უფრო უწინ იგი მოხიბლა ექიმმა დიომიდე ფანცხავამ ქუთაისში...

...შემოვიდოდა ოთახში მოხუცი დარბაისლურად, მშვიდად. მოიკალათებდა სავარძელში. სულ მალე აღარ კვნესოდა დედა. კარს ამოფარებული ბაბუცა მოხიბლული შესცქეროდა მოხუცს და ყოვლისშემძლე ეგონა ექიმი. იქნებ სწორედ იგი იყო მიზეზი, რომ ლექსებზე შეყვარებულმა ბაბუცამ ერთ ღამეს ბევრი იფიქრა და დილით უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ივ. ჯავახიშვილს მისწერა წერილი: „... სკოლა ფრიადზე დავამთავრე. ოჯახური პირობები არ მაძლევს საშუალებას ახლავე ჩამოვიდე თბილისში. პირობას გაძლევთ, კარგად ვისწავლი... გთხოვთ“...

და მოულოდნელად პასუხი (ამ წერილს ახლაც სათუთად ინახავს ბაბუცა): „ჩარიცხული ხართ სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლა იწყება 1 სექტემბერს. სტიპენდია დაგენიშნებათ... ივ. ჯავახიშვილი“...

## პირველი ოპერაცია

მაშინ ბაბუცა ახალბედა ქირურგი იყო, რომელსაც ჯერ არ ანდობდნენ რთულ ოპერაციებს. მაშინ მხოლოდ მონუსხულივით შეჰყურებდა პროფესორ გრიგოლ მუხაძის ხელს — დიდსა და ზუსტ ხელს, მის თვალებს და შუბლს, ოფლის წვრილი წვეთებით დანამულს. ხანდახან კი იტყოდა პროფესორი: მიდი ერთი, ბაბუცა, ჩაყავიო შენი პაწია ხელი, მოათვალიერე მუცლის ღრუ... — და თავის ფართო ხელს შეხედავდა იქე, თითქოს რცხვენოდა ამ დიდი ხელისა. მერე მოთმინებით ელოდა, სანამ ბაბუცა „მოათვალიერებდა“ მუცლის ღრუს და ეტყოდა:

— ხორკლებია ღვიძლზე, პროფესორო!

იმ დღეს კი...

იმ დღეს ჩვეულებრივი შემოვლა იყო კლინიკაში. „ბაბუცას პალატიდან“ გამოსვლისას მოხუცმა ავადმყოფმა შეაჩერა პროფესორი. იგი მოტრიალდა, გაუღიმა და უთხრა:

— ჰო, კარგი, ვიცი, რაც უნდა მთხოვო, მე გაგიკეთებ ოპერაციას, ნუ ღელავ.

და უცებ დაინახა ავადმყოფის თვალები. არა, სულ სხვა რაღაცის თქმა უნდოდა მოხუცს:

— ბაბუცამ გამიკეთოსო ოპერაცია, — მოწიწებით სთქვა.

ჩაეღიმა პროფესორს, მერე ოპერაციების ცხრილი მოითხოვა და თავისი გვარის ნაცვლად ნემსიწვერიძე შეიტანა:

— ავადმყოფს უფლება აქვს თავისი სიცოცხლე ვისაც სურს, იმას მიანდოს. შენ ეს დაიმსახურე. ოპერაციას შენ გააკეთებ. მე მოგეხმარები.

იმ დღეს ბაბუცა პირველად დადგა საოპერაციო მაგიდასთან ხელაწეული, თითქოს ლოცულობდა და მართლაც იყო ეს „ლოცვა“ და ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისათვის, მხოლოდ „ღმერთი“... თვით ბაბუცა იყო.

— მე საფლავში ჩავიტან შენი ხელების სითბოს, შვილო, — ეუბნებოდა ოპერაციის შემდეგ მოხუცი ავადმყოფი.

...არ შეიძლება დაივიწყო შენი პირველი სიყვარული და შენი პირველი ოპერაცია.

## ქირურგია — მამაცთა პროფესია

ეს იყო ოცდაათიანი წლები, როცა თითზე ჩამოსათვლელი იყო ქალი — ქირურგი, როცა უცხოეთიდან ჩამოსული სტუმარი გაკვირვებით ეკითხებოდა პროფესორს:

— როგორ, თქვენს კლინიკაში არის ქალი-ქირურგი?

— არის. და არა მარტო ჩემს კლინიკაში! საბჭოთა კავშირში ბევრია ქალი-ქირურგი.

— და თქვენ ანდობთ მათ... — უკვირს უცხოელს.

— ყველაფერს ვანდობთ ისევე, როგორც ქირურგ — მამაკაცს...

და თეთრ საოპერაციოში მიმდინარეობს ოპერაცია, რომელსაც ბრწყინვალედ აკეთებს ბაბუცა ნემსიწვერიძე. ყველა, ვინც თვალყურს ადევნებს ოპერაციის მსვლელობას, ვინც გულისყურით აკვირდება მის ნარნარ, მტკიცე მოძრაობებს, ხედავს — მის წინ ქირურგია ჭეშმარიტი, მისი ხელის ოსტატობა არ ჩამოუვარდება ცნობილი ქირურგებისას.

განა ტყუილად ეუბნებოდა პროფესორი პეტრე კორნეევი ლენინგრადში: ქირურგია მამაცთა პროფესიააო. ქირურგს უნდა ჰქონდესო არწივის მახვილი თვალი, ლომის სიმამაცე და... ქალის ნაზი ხელი. ბევრი რამ ისწავლა მისგან. ახსოვს, როგორ არ ახსოვს ლენინგრადის თეთრი ღამეები და პროფესორ კორნეევთან მუშაობის საათები.

... ყოველ ზაფხულს მოინახულებდა თავისიანებს თერჯოლაში. ბევრჯერ მისდგომია მის პატარა სახლს ნაბდიანი კაცი და ცხენით



წაუყვანია ჩხარში, სიქთავრაში. იქ ელოდნენ ადამიანები, ელოდხეხ და ისიც მიდიოდა დაუზარებლად, ცხენზე ამხედრებული, საათობით მიიწევდა წინ მთებით და მინდვრებით დარსა თუ ავდარში.

მთებს იქით ელოდნენ სიკვდილს და ბაბუცა სიცოცხლეს ამკვიდრებდა პაწია საავადმყოფოში, ხშირად გლეხის ქოხში, ლამფებით განათებულ „საოპერაციო ქოხში“, სადაც მისი „ასისტენტები“ ავადმყოფის ჭირისუფლები იყვნენ...

## შვილის ქირურგი გახდება

... ახლა ბიჭის თვალებში რაღაც საოცრად ნაცნობი ელანდება დედას, რაღაც შორეული და საოცრად ნაცნობი. ის გვერდით მიჰყვება, მისი შვილი, მისი ვაჟკაცი, მას მაგრად უჭირავს დედის მკლავი და უცებ სხეულში გრძნობს, ტკივილამდე გრძნობს — „ეს ჩემი შვილია“...

ისინი ერთად შედიან საოპერაციოში, ერთად იბანენ ხელს. მერე სტერილურ ხელთათმანებში ხელებაწეული ბაბუცა ელის, როდის მოამზადებენ ავადმყოფს საოპერაციოდ და გიზო თვალს აცილებს ამ ხელებს...

მკაცრი თვალები აქვს ახლა დედას სათვალეებს იქით. ძუნწ, გაანგარიშებულ მოძრაობებს აკეთებს, მერე შუბლზე ჩნდება ოფლის პირველი წინწკლები და იგი აღარაფერს ამჩნევს ირგვლივ.

და როცა მისი მზერა შეხვდა გიზოს თვალებს, გასაგები გახდა: ქირურგი კმაყოფილია. გადარჩენილია კიდევ ერთი სიცოცხლე.

... სახლამდე გზა შორია, წვიმამ გადაიღო, ჰაერი სუფთაა და დილის ნაცრისფერი რიჟრაჟი, როგორც ყოველთვის, ჩუმად ეპარება თბილისს. ნაწვიმარ ქუჩაზე მიდიან დედა და შვილი. ისინი უბრუნდებიან წინა საღამოს დაწყებულ საუბარს ტალზე, ნონაზე, გალაქტიონზე და რობერტინოზე...

## შენი ხელების სითბო

დილით კი ისევ დაიწყება ჩვეულებრივი დღე, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სილამაზით სავსე დღე. გაეწერება საავადმყოფოდან ავადმყოფი და წასვლისას საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის ნონა (ბაბუცა) ზოსიმეს ასულ ნემსიწვერიძის სახელზე საავადმყოფოს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერენ;

„არ დამავიწყდება ღამე — თქვენი ოპერაციის შემდეგ. ფრთხილად შემოაღეთ პალატის კარი და გაიღიმეთ. თავს არ გიფარავდათ თეთრი ქუდი და ახლა, თმადათოვლილი, რატომღაც უფრო ახლობელი იყავით, უფრო ჩემეული. დახედეთ ჭრილობას და თითქოს სადღაც გაჰქრა ტკივილი. მერე რაღაც თქვით, თითქოს უმნიშვნელო, თითქოს ჩვეულებრივი და წახვედით...

ეს იყო ღამის 12 საათი. ვინ იცის, როგორ გიჭირდათ მოსვლა! ვინ იცის, რამდენი საქმე გელოდათ სახლში და მაინც მოხვედით.

მივდივარ აქედან და მიმყვება თქვენი ხელების სითბო... დიდი მადლობა“.

ლია გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მერი ნაკაშიძე

თუ ატირდებოდა, მხოლოდ მამას შეეძლო მისი დაწყნარება. დაუკრავდა გიტარას და დედოფალასავით ლამაზი გოგონა იმ წუთშივე გაიღიმებდა.

შუბლზე დაყრილი ხვეული თმა, მოხატული პირისახე და დიდი ხალი — აი, ასეთი იყო პატარა მერი, ასეთია ახლაც და ასეთი იქნება დიდხანს, სანამ მის ხმაში გაზაფხულია, სანამ მის გულში სიმღერის ეშხია.

დაიბადა სიღნაღში. ძველისძველ ციხეგალავნიან ქალაქში. სულ პატარა იყო, მათი ოჯახი თბილისში რომ გადმოვიდა. აქ დაიწყო მერის შემოქმედებითი ცხოვრება. ხელოვნების მოტრფიალე მამამ თავისი ცქრიალა გოგონა ეთარიანის კერძო ქორეოგრაფიულ სტუდიაში მიაბარა.

ყველა მოიხიბლა მისი ცეკვით რუსთაველის სახელობის თეატრში გამართულ სტუდიის კონცერტზე. დიდხანს ამაყად ატარებდა პირველ ჯილდოს — ვერცხლის მედალს წარწერით — „პრემია სახასიათო ცეკვებისათვის“.

საშუალო სკოლაში მერი ბიძინა წულაძის მოსწავლეთა გუნდში მღეროდა. ძნელი იყო აუღელვებლად მოგესმინათ მისი სოლოდ ნამღერი:

მე წყარო ვარ, წყარო მთებში შობილი,
ყვავილია ჩემი და და ძმობილი...

იშვიათი ტემბრით მღეროდა გოგონა და მართლაც მთის წყაროს რაკრაკს ჰგავდა მისი სიმღერა.

როცა კომპოზიტორი გ. კოკელაძე სკოლებში ხმებს არჩევდა, ბიძინა წულაძემ მაშინვე წარუდგინა მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი მერი. კომპოზიტორს ძალიან მოეწონა მისი ხმა.

ამ დროს მერი სკოლის პარალელურად მუსიკალური სასწავლებლის ფორტეპიანოს კლასშიც მეცადინეობდა. პედაგოგი შაგინოვი მოხიბლული იყო მისი მუსიკალური ნიჭით. მიუხედავად შაგინოვის დიდი სურვილისა, რომ მერი პიანისტი გამოსულიყო, გ. კოკელაძემ გოგონა კონსერვატორიაში, ვოკალური ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე მიიყვანა.

გამოცდაზე ყველა აბითურიენტი მომზადებული გადიოდა. მერი ნაკაშიძეს წარმოდგენა არ ჰქონდა არპეჯიოებსა და ვოკალიზებზე. მან კომისიას უჩვენა თავისი ბუნებრივი

ლაკმე — „ლაკმე“



მარო — „დაისი“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა, განუმეორებელი სილამაზის ტემბრი, ხმის ფართო დიაპაზონი და მომხიბლავი გარეგნობა.

როიალთან რაისკი იჯდა. რამდენ მაღალ ნოტას აიღებდა მერი, იმდენჯერ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით გაიხედავდა კომისიის წევრებისაკენ.

მეორე ოქტავის „მი“ რომ აიღო, გაოცებული მობრუნდა და მერის ხუმრობით შეეკითხა:

— რას იტყვი, შეგიძლია აიღო ნოტაფიტა?

— დიაღ, შემიძლია! — თავმომწონედ უპასუხა მერიმ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ნოტაფიტა ვოკალურ ხელოვნებაში რომელიღაც ნოტის სპეციფიური დასახელება იყო.

მის სერიოზულ პასუხზე ყველას გაეცინა.

...რამდენი იღელვა, სანამ სიებს გამოაკრავდნენ! იმ დღეს კი მღელვარებით ჩამოაყოლა თითი სიის იმ ადგილს, სადაც ალფავიტით თავისი გვარი ეგულებოდა. ვერ იპოვა.

უცბად ცხოვრებასა და მის შორის თითქოს დიდი უფსკრული გაჩნდა. აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, თითებს უნუგეშოდ იმტვრევდა, სამღერლად გამზადებული ტუჩები სატირლად უცახცახებდა — „რაღა ვქნა?“

— თურმე, ანგელოსები მაღლა დაფრინავენ და შენი გვარიც სულ მაღლა დაუწერიათ. — მოესმა ამ დროს ნაცნობი მხიარული ხმა...

...იმ დღიდან მხოლოდ ხუთი თვე გავიდა. მერის პედაგოგმა ო. შულგინა-ბახუტაშვილმა სტუდენტთა კონცერტზე სერიოზული პროგრამით გამოიყვანა იგი. მალე კი მუსიკოს შემსრულებელთა მეორე საკავშირო კონკურსში მიაღებინა მონაწილეობა.

საოპერო სტუდიის პირველ სპექტაკლსაც დაუბედა გამარჯვება მერის პირველმა გამოსვლამ მოცარტის კომიკურ ოპერა „ფიგაროს ქორწინებაში“.

ოპერა აკაკი ფაღავას ქართული თარგმანით იდგმებოდა. მერი ნაკაშიძის სუსანა იყო პირველი სახე, რომელიც მან ვოკალის საშუალებით აამეტყველა სცენაზე.

მარტო ლამაზი ხმა და გარეგნობა როდი იყო საკმარისი ამ სახის შესაქმნელად. ამ ოპერას თავის დროზე ნაპოლეონმა „ამოქმედებული რევოლუცია“ უწოდა. საჭირო იყო ცეცხლოვანი ტემპერამენტი, აქტიორული გარდასახვა, აზრი და გულწრფელობა.

ალბათ, ყველაფერი რიგზე იყო, ალბათ, ძალიან მოეწონათ ნაკაშიძის სუსანა, რადგან დარბაზში ტაშის გრიალი არ სწყდებოდა. მაყურებლისაგან მოძღვნილი პირველი ვარდები მკლავებში ძლივს ეტეოდა, დაბლა ცვიოდა და ახალბედას სიხარულის ცრემლებით ინამებოდა.

ევგენი მიქელაძის კეთილშობილმა გულმა, მშობლიური მუსიკის აღორძინებისათვის რომ ძგერდა, მაშინვე აიტაცა მერის ნიჭი, კონსერვატორიის დამთავრება არც კი აცალა — თეატრში მიიყვანა და დეკადისათვის მოამზადა.

მოსკოვი. დეკადა. მღელვარება. დიდი გამარჯვება. ფრთაგაშლილი სიხარული... დაუვიწყარი წუთები, ქართული ხელოვნების ზეიმად გადაქცეული...

აქაც ისახელა თავი მერიმ. ჯერ იყო და მაროს მწუხრით აუთრთოლა მსმენელს გული, შემდეგ ქეთოს სიმღერებით დაატკბო—მოსკოველ მაყურებელს განაცდევინა ქართული მელოდიის სიღრმე და ცეცხლი.

ბანკეტზე, რომელიც მთავრობამ ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთ გაუმართა, ევგენი მიქელაძემ მერის ხელი დაუქნია და ანიშნა რამე ემღერა. ამას ელოდა მერი. ჩუმად ჩასჩურჩულა: „რიგოლეტოდან“ ჯილდას არიას ვიმღერებო. დირიჟორი გააოცა მისმა სითამამემ და ჩურჩულითვე უპასუხა: ნოტები არა გვაქვს, უფრო იოლი რამ აირჩიეო. მერი იმ წუთშივე წამოიჭრა სკამიდან და სკამის ქვეშ დამალული ნოტები დაანახვა. მიქელაძეს გულიანად გაეცინა და ნება დართო...

სიმღერაც არის და სიმღერაც — მერის სიმღერა არ იყო ჩვეულებრივი. ეს იყო ნეტარების მომგვრელი ჰანგები, ბგერების ფაქიზი თრთოლვა, ზღაპრული ჩურჩული, პოეზია.

ესტრადაზე





ვიოლეტა — „ტრავიატა“

დაამთავრა სიმღერა და მთელი დარბაზი ტაშისცემით ფეხზე წამოდგა. ასეთმა სიმღერამ დააწერინა ჩვენს სასიქადულო პოეტს იოსებ გრიშაშვილს:

„მერცხალმა სთქვა: „ეს ვინ არის,
სარკმელთან რომ მღერის?..“
აჭიკჭიკდა, შეეჯიბრა
ნაკაშიძე მერის.

მაგრამ იგრძნო, რომ მერივით
ვერ იტყოდა სათქმელს,
დაირცხვინა, დაიკვნესა
და მოშორდა სარკმელს“.

„საქართველოს ბულბული!“ ვანო სარაჯიშვილის შემდეგ ამ ეპითეტით იშვიათად შეუმკიათ რომელიმე მომღერალი. ეს ბედნიერება მერისაც ხვდა. მისი სიმღერა მარტო ქართველმა ხალხმა როდი შეიყვარა, ის გაიცნეს, შეიყვარეს მთელს ჩვენს დიად სამშობლოში და მის საზღვრებს გარეთაც.

მაგრამ ცხოვრება ყოველთვის როდი გვანებივრებს ბედნიერი დღეებით. მოულოდნელად ყელშეღერებულმა ბულბულმა ნაღვლიანად დახარა თავი. დროებით ჩაჩუმდა სალამური. მერი დიდხანს ვეღარ მღეროდა.

შეშფოთდა საზოგადოება, აღელდნენ მერის უზადო ხმის თაყვანისმცემლები.

პროფესორმა დ. შვედოვმა და მისმა მეუღლემ ანნა იუროვამ დროზე მიაშველეს თავიანთი გამოცდილება. დაუღალავი, თავგამოდებული, ჯიუტი შრომით ისევ აამეტყველეს დადუმებული ყელი.

ამ შემთხვევის შემდეგ მერიმ პირველად

„ტრავიატაში" იმღერა. სპექტაკლის დღეს თეატრის წინ ქუჩაში ხალხის ტევა აღარ იყო. ტრამვაის გაჩერება შორს გადაიტანეს —ტრანსპორტის მოძრაობა მოზღვავებული ხალხის ტალღამ შეაჩერა. გულშემატკივარი მაყურებელი სპექტაკლის დაწყების შემდეგაც არ შორდებოდა თეატრის კედლებს — როგორ მღერის? ხმა როგორ უჟღერს! — ისმოდა აღელვებული ხმები.

სცენაზე ფარდა რხევით აცურდა. ზევით. ვიოლეტას მხოლოდ ერთი გაუბედავი მუსიკალური ფრაზა მოსწყდა ბაგეს და ხალხის აღფრთოვანებულმა ოვაციებმა ჩააჩუმეს ორკესტრი.

ტიროდა მომღერალი, ტიროდა ხალხი და თუმცა იმ საღამოს მერიმ ვერ იმღერა ჩვეული ხმით და ოსტატობით, ხალხი სიხარულით და სიყვარულით მიეგება სცენაზე მის მეორედ დაბადებას.

შეუპოვარი მუშაობის შემდეგ თანდათან დაუბრუნდა ხმის ჩვეული ეშხი. მისი პედაგოგები და ერთგული მეგობრები დ. შევდოვი და ა. იუროვა თავს დასტრიალებდნენ, პატარ-პატარა კამერული ნაწარმოებებით უმაგრებდნენ ხმას, ფრთხილობდნენ, არ გადაეღალათ სალამურა ყელი.

თანდათან გაიზარდა კამერული რეპერტუარი. შეუძლებელია კონცერტების ჩამოთვლა, რომელიც მერიმ ფორტეპიანოს თუ სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ჩაატარა. მარტო შორეული აღმოსავლეთის 64 საკონცერტო აფიშა ინახება მის არქივში.

მისი მდიდარი რეპერტუარის დამამშვენებელია შტრაუსის ვალსები (1958 წლის დეკადის დასკვნით კონცერტზე შტრაუსის ვალსით დაიპყრო დიდი თეატრის პირთამდე ავსილი დარბაზი), მეიერბერი, გუნო, ვერდი, როსინი, ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები...

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მის მიერ შესრულებული ბრუსილოვის „ორი მერცხალი". ამ რომანსს მერიმ თავისებური ინტერპრეტაცია გაუკეთა და მეტი შნო და სილამაზე მისცა. მას ძალიან უყვარს სიმღერები მერცხლებზე და სიამოვნებით ასრულებს ვ. გოკიელის სიმღერას — „მერცხალი სამგორში", დოლუხანიანის „წიწერნაქს" სომხურ ენაზე („წიწერნაქ" სომხურად ნიშნავს მერცხალს).

დაიმსახურო ხალხის სიყვარული — განა არსებობს ამაზე დიდი ბედნიერება? სწორედ ამ სიყვარულზე და აღიარებაზე მეტყველებენ უამრავ კონკურსებზე გამარჯვებისათვის მიღებული სიგელები, მთავრობის ჯილდოები — ორდენები, მედლები, რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება...

მიდიან წლები... იფურცლება ჩვენი თეატრის მატიანე, ივსება ვალმოხდილი, ღვაწლმოსილი ადამიანების სახელებით და მათ შორის მერი ნაკაშიძე მუდამ მოიხსენიება, როგორც შესანიშნავი მომღერალი და ქართული ხელოვნების უნიჭიერესი წარმომადგენელი.

**ნუნუ მესხი**

# ბედნიერი

ყოველ დილით, ექვს საათზე მატარებელი მიაკივლებს პატარა პლატფორმას. ორთქლმავალი სვლას უკლებს და პლანტაციებთან გაატარებს ღამენათევ ვაგონებს ჩამუქებული სარკმლებით.

ის წელში იმართება, ჩვეული მოძრაობით კალათს ისწორებს. კალათი პირთამდე სავსეა და მძიმედ აწვება წელზე. ქალი ბილიკზე გადმოდის და ფარდულისაკენ უხვევს. იქ მწვანე ფოთლებს მიწაზე აშვავებს და ჩქარი ნაბიჯით უკან ბრუნდება.

გვერდით ნაკვეთში თავსაფრიანი თავი ბუჩქების მწკრივთან წაბრილა. ალექსანდრამ იცის: სადაცაა ქალი თავს ასწევს და დაუძახებს.

— ოუ, საშა, — ესმის ქალს თითქმის ამის გაფიქრებისთანავე. პატარა ტანის ქალი ბუჩქთან სწორდება და ხელს უქნევს.

ეს შეხვედრა მეორდება თითქმის ყოველ დილით, ადრიანი გაზაფხულიდან შემოდგომამდე.

ყოველ დილით, როცა ალექსანდრა პლანტაციის მისასვლელთან ბოგირს გადაივლის და თავის მწკრივებისკენ მიდის, თვალი იმ ნაკვეთისკენ გაურბის, მსხლის ხე რომ დგას. და რა. ადრეც არ უნდა იყოს, ნაცნობი თავსაფარი მაინც ადგილზეა. ცოტა მოგვიანებით, როცა მოკრეფილი ფოთოლი ფარდულისკენ მიაქვს, უცდის, როდის დაუძახებს ალერსიანი ხმა — ოუ, საშა, — ბუჩქთან პატარა ტანის ქალი გასწორდება და ხელს დაუქნევს.

ყოველ ამ ძახილს მშვიდი სიხარული მოაქვს ალექსანდრასთვის, სიხარული და რაღაც რწმენა.

ის საპასუხოს გასძახის დაბალი, მკერდისმიერი ხმით და თავის ნაკვეთისკენ ფეხაჩქარებული მიდის.

ზესლახუბის თავზე კაშკაშა დილა დგება. ცაზე ღრუბლის ნატამალიც არა ჩანს. პლანტაციას ჭრელი თავსაფრები და განიერფარფლებიანი ქუდები ედება. მაგრამ ალექსანდრა გვერდზე აღარ იყურება. სველ ბუჩქებს ხელები თითქოს ანგარიშმიუცემლად დაფრენენ, სინჯაგენ და ნამიანი ლორთქო დუყები თითებში ტკაცანით წყდება.

ბუჩქიდან ბუჩქზე, ბუჩქიდან ბუჩქზე... მუშაობაში გასულ წუთებს, საათებს ავსებული კალათით ითვლის. კიდევ რამდენიმეჯერ მიდის ფარდულისკენ და მიწაზე დაშვავებულ მწვანე ფოთლის გორაკს სიმაღლეს უმატებს.

ფარდულთან ხშირად დგება სატვირთო მანქანა. ახლა ივლისია, დაღლილმა ბუჩქმა დაისვენა, ჩაი ზღვასავით წამოვიდა და სოფელში აღარავინ რჩება, პლანტაციებში მოდიან ტრაქტორისტები, მესიმინდეები, მეთამბაქოეები, ბავშვები და მოხუცები.

ალექსანდრას ნაკვეთში მისი სამი შვილი კრეფს ჩაის. სამი უმცროსი სახლში ჰყავს. მეზობელ ნაკვეთში მისი მული მუშაობს — სონია ვოუბა. რამდენიმე წლის წინ სონიამ პირველმა მოკრიფა ასი კილოგრამი ჩაი და ყველა გააოცა. მაშინ ასი კილოგრამი ზღვარი ეგონათ. ახლა...

მზე უფრო და უფრო მძლავრობს; ბუჩქებს, მიწას, ყველაფერს ირგვლივ ოხშივარი ასდის. ბუჩქთან თავწახრილს, სახეზე ალმური ეკიდება და გრძნობს, რომ თითებიც ისე აღარ ემორჩილება.

ალექსანდრა წელში იმართება და გოგონას უძახის:

— ცხელა უკვე, ახლა სახლში წადით!

გოგონა უარის ნიშნად თავს იქნევს. ბიჭებს კი თავიანთი კალათები მიაქვთ და მიდიან.

...გოგონა მეთექვსმეტე წელიწადში გადადგა და უნდა დედას არ ჩამორჩეს. ალექსანდრა ხშირად ცდილობს შეხედოს შვილს ასე, უცხოს თვალით. აი, ამაზე ერთი წლით უფროსი იყო, როცა ეს შეეძინა...

თექვსმეტი წლის იყო, ზესლახუბში რომ მოიყვანა იაზბეიმ. თექვსმეტი წლის წინ გადაუხადეს დიდი აფხაზური ქორწილი. ბედნიერი დღე გამოდგა. იმ დღემ ალექსანდრას წამდვილი ბედნიერება მოუტანა...

• • •

— გამარჯობა ალექსანდრა!

ნაკვეთისკენ უშანგი ქუჩუბერია მოდის. თავმჯდომარეს ვიღაც მოჰყვება. უცნობს მხარზე ფოტოაპარატი აქვს გადაკიდებული. ალბათ, კორესპონდენტია. უცნობი ჭილის ქუდს იხდის და ალექსანდრა ფიქრობს: რუსეთიდანაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავმჯდომარე ხელს ალექსანდრასკენ იშვერს და თანმხლებს რუსულად ეუბნება:

—გაიცანით: ჩვენი მოწინავე მკრეფავი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსანდრა ვოუბა. ექვსი შვილის დედა.

კორესპონდენტი აღტაცებულია:

— ექვსი შვილის? ასეთი ახალგაზრდა და უკვე დეპუტატი? ჰკითხეთ, შეიძლება გადავუღო?

— რა ბრძანებაა! — ეუბნება თავმჯდომარე.

კორესპონდენტი დროს არ კარგავს და აპარატს ზედიზედ აჩხაკუნებს.

— რამდენიმე წუთს საუბრისათვის ვერ დამითმობთ? მგონი, თქვენი შესვენების დროც მოახლოვდა.

...შესვენების დრო კარგახანია გავიდა. ორი კვირის წინ ამ დროს ალექსანდრა სახლში მიდიოდა, სადილობდა, ცოტას დაისვენებდა და პლანტაციაში ბრუნდებოდა.

ახლა დასასვენებლად ვის სცალია! სადილი ბავშვებს აქ მოაქვთ, პლანტაციაში. მერე, დილის ხუთ საათზე მოსული, დაღამებამდე ვერ სცილდება პლანტაციას.

— ჩრდილში წამობრძანდით, — ეუბნება თავმჯდომარე სტუმარს.

სამეული ფარდულისკენ მიდის და ალექსანდრა ფიქრობს, რა უნდა უამბოს ამ კაცს.

* * *

...თექვსმეტი წლის იყო, ბესლახუბში რომ მოიყვანა იაზბეიმ. პირველად აქ ნახა ჩაი. მის სოფელში — არასაძიხში ჩაი არ ყოფილა.

ერთი წელი იპატარძლა აფხაზური წესის მიხედვით. მერე ეს უფროსი გოგოც გაუჩნდა. გაზაფხულზე თავის მულს გაჰყვა პირველად პლანტაციაში. მაჩიჩ ლიპარტიას ბრიგადაში ჩარიცხეს.

მაჩიჩმა ასწავლა ჩაის კრეფა. მაგრამ კრეფამდე სხვა სამუშაოც იყო, უფრო ძნელი და მძიმე: ბუჩქის მაკრატლით გაკრეჭა, თოხნა, ბალახების გამოცელვა, სასუქის შეტანა.

როგორ იღლებოდა... დაღლილობისგან ღამე ძილი არ ეკარებოდა თვალებს და დილით კიდევ უფრო დაქანცული დგებოდა.

მაჩიჩმა შეაჩვია. ბავშვივით ეფერებოდა, ეხმარებოდა. არავინ იცოდა მასავით სიცილი და ხუმრობა, როცა საჭირო იყო — გამხნევება. ალექსანდრას უკვირდა — რა ძალა ჰქონდა ამ პატარა ქალს, რა დაუცხრომელი შრომის ჟინი, ან რა ამტანობა.

ბავშვსავით შეუყვარდა მაჩიჩი... მაჩიჩი მისი მასწავლებელიც იყო, დაც და დედაც.

ახლა დაბერდა უკვე მაჩიჩი. გული აწუხებს, წნევა... მათ ბრიგადას ახლა სხვა მეთაურობს. მაგრამ მაჩიჩს სახლში რა გააჩერებს! პლანტაციაში ყველაზე ადრე მაინც ის მოდის და ალექსანდრას პირველი ის ხვდება.

ამ შეხვედრების გარეშე მუშაობა ვერ წარმოუდგენია ალექსანდრას, რაღაც მშვიდი სიხარული მოაქვს ამ შეხვედრებს მისთვის, სიხარული და რაღაც რწმენა...

* * *

— რამდენი მაქვს მოკრეფილი? სულ თავიდან?

ალექსანდრა ფიქრობს. როგორ დაითვალოს, რაც ამ ხელებს მოუკრეფია? გონებაში მწვანე მთები წარმოუდგება. მისი მოკრეფილი ჩაი რომ ერთად მოაგროვო, რამდენი დიდი მთა დადგება... იქნებ, ბოლო სამი წლის მაჩვენებლებიც საკმარისი იყოს?

1960 წელს — სამიათას რვაასი კილოგრამი,

1961-ში — ოთხიათას ოთხასი,

1962-ში — შვიდიათას სამასი.

მარტო ფულად ათას სამასი მანეთი მიიღო შარშან. შარშან ორსართულიანი ლამაზი სახლი წამოჭიმეს მან და იაზბეიმ. ძველი ფაცხა ახლაც დგას სახლს უკან —გაჭვარტლული, თიხით შელესილი წნული კედლები, მიწური იატაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი სახლები იყო წინათ ბესლახუბში. ორსართულიანი სახლები, სოფელს რომ ამშვენებს, სულ ახლახან გაჩნდა. მარტო შარშან თორმეტი აშენდა, წელს, ალბათ, მეტი იქნება...

* * *

კორესპონდენტი მადლობას უხდის ალექსანდრას. გამომშვიდობებისას ეუბნება:

— მაჩიჩ ლიპარტიას კი სიამოვნებით ვნახავდი, თუ აქ არის, პლანტაციაში.

— აქ იქნება. — ამბობს ალექსანდრა.

ტკბილმოუბარია მაჩიჩი. მასზე უკეთ სტუმარს ვერავინ მოუყვება, როგორ გაჩნდა ბესლახუბში ჩაი პირველად. მოიგონებს, როგორ ჩარგეს თითის სიგრძე ღერები, როგორ ჩაცუცქდებოდნენ გოგოები და მაკრატლით კრეჭდნენ.

მაშინ ეს ნაკვეთი იყო მთელი პლანტაცია. ახლა, აგერ, რამხელაზე გაიზარდა. — ამ ჩაისთან ერთად დავბერდი მეც და ჩემი მეგობრებიცო, — ამოიოხრებს მაჩიჩი. მაგრამ თვალებში არ ეტყობა სიბერე, ისევ ეშმაკურად უღიმის და უციმციმებს ახლაც. ჰოდა, სიბერეზე რომ ჩამოაგდებს ლაპარაკს, იქვე დასძენს: გული არ გვიბერდებაო. და როცა სოფელი ჩაის კრეფას ვეღარ აუდის, პლანტაციებს მიაშურებენ კოლმეურნეობის ვეტერანები, ძველი დამკვრელები: ფოჩა გადელია, ზინა ლოგუა, ბუბცა ხიბა.

* * *

დიდი, თეთრი ღრუბელი დგება ცაზე დასავლეთიდან. მზე ღრუბლებზე წვება და სხივებს გვერდულად ისვრის. მალე საღამო ჩამოდგება ბესლახუბში.

— აბა, ქალებო, ერთი ამოსუნთქვით, ერთი ამოსუნთქვით! — დარბის ბრიგადირი ნაკვეთიდან ნაკვეთში.

მაგრამ შეძახილი აღარავის სჭირდება. მკრეფავები მუშაობენ ისე გამალებით, თითქოს დღევანდელ საღამოზეა დამოკიდებული, შეასრულებს წელს გეგმას კოლმეურნეობა თუ არა.

ალექსანდრა გრძნობს, რომ ბეჭები დაუმძიმდა. მაინც ვერ ელევა ბუჩქს, სანამ თვალი უხეშ ფოთლებს ნორჩისაგან არჩევს.

ეს დროც დგება. მესამე ბრიგადა ფარდულში იკრიბება. ალექსანდრას სასწორთან უკანასკნელი კალათი მიაქვს.

— ას ორმოცდარვა კილო შეასრულე. ყოჩაღ, საშა! — ეუბნება მწონავი.

ქალები ფარდულის კართან გროვდებიან.

— რამდენი მოკრიფე, საშა?

— შენ, ტატუშა?

— წავიდეთ ახლა...

პლანტაციას რომ გადმოივლიან, ლოლა აკბა და მისი გოგოები, წელს რომ დაამთავრეს საშუალო სკოლა, მინდორზე სხდებიან.

— რა დროს აქ ჯდომაა, სახლში წადით, — ეუბნება მაჩიჩი და თვითონაც იქვე მოიფთხნის.

ალექსანდრას სახლში ეჩქარება, მაგრამ ნამიანი მინდორი თავისკენ იტყუებს და გადაწყვეტს ერთი-ორი წუთით მუხლი მოასვენოს. მერე ქალების მთელი ჯგუფი მინდორში სხდება.

ალექსანდრა მოლზე წამოწვება და ხელებს თავქვეშ იდებს. საოცარი ძალით ფეთქდებიან ვარსკვლავები თვალშეუდგამ ცაზე. ღამის ნიავი ხის წვეროებს მოედება,ააშრიალებს და თავს მიანებებს. მერე სიჩუმეა ირგვლივ, სანამ ფოთლებს ისევ არ შეაშფოთებს ნიავის ახალი ტალღა.

და ამ წუთებში ის აღარ არის ალექსანდრა ვოუბა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ექვსი შვილის დედა. ამ წუთებში ალექსანდრა ისევ ხუთმეტი წლის ხდება, მის თავს ზემოთ ბესლახუბის კი არა, არასაქიხის ცაა, მის ირგვლივ ქალიშვილობის ამხანაგები წვანან და უყურებენ, როგორ იპყრობენ ვარსკვლავთა მილიონები ღამეულ ცას.

წვანან ჩუმათ, ხმას არავინ იღებს, თუმცა ყველამ იცის, რომ შინ წასვლის დროა.

კიდევ ცოტაც და ყველა გაუყვება მთვარით განათებულ ბილიკს, რომ ხვალ დილით უთენია ისევ ამ გზით დაბრუნდნენ, რადგან ცხელი დღეებია ახლა ბესლახუბში და დასასვენებლად არავის სცალია.

**ნანული ბარათაშვილი**

ჩვეულებრივი საქმიანი დღე დაიწყო. მოსამართლე დინჯად შევიდა დარბაზში და მაღალზურგიან სკამზე დაჯდა. გვერდით დასხდნენ მსაჯულები. დარბაზი გაირინდა. დაიწყო ბრალდებულის გასამართლება. ქურდობის დასადასტურებლად მოსამართლეს არა აქვს ხელშესახები საბუთი. არის მხოლოდ დაზარალებული და მას ჰყავს მოწმეები.

— არ მომიპარავს, — ამბობს ბრალდებული და ცრემლით ევსება თვალები. მოსამართლე მას პირდაპირ უყურებს, ამ ცრემლების მიღმა ინტუიციით ეძებს ჭეშმარიტებას.

„ცხოვრების ხორცმეტები უნდა დაისაჯონ!“—ამბობს კანონი.

უნდა დაისაჯონ! — იმეორებს თავისთვის მოსამართლე და შესწავლილსა და მრავალჯერ გადასინჯულ საქმეს კიდევ სინჯავს.

— ამ ბიჭმა მომპარა, ამ გარეწარმა ამომაცალა ფული ტროლეიბუსში, — ამტკიცებს დაზარალებული და მას მხარს უჭერენ მოწმეები.

— ფული ვის გადაეცი? გამოტყდი და სასჯელი შეგიმსუბუქდება,— ურჩევს მოსამართლე ბრალდებულს.

— არ მომიპარავს, არასოდეს არაფერი არ მომიპარავს, —ტირილის ხმით ამბობს ბიჭი.

„ეს ცრემლები ყალბი არ უნდა იყოს, — ფიქრობს მოსამართლე.— რაც არაა წარდგენილი სასამართლო პროცესზე, ის არ არსებობს სასამართლოსათვის. მაგრამ მოწმეები? იქნებ ცდებიან მოწმეები! მის ჯიბეში ფული არ აღმოჩნდა. არც მისი ხელები დაუჭერიათ სხვის ჯიბეში. სხვას გადასცა? ჰო... შეიძლება“. და მოსამართლემ სასამართლო პროცესი გადადო, რათა ხელახლა გაეცნოს ბრალდებულის ცხოვრებას.

უდედ-მამო ბიჭი ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მოსამართლემ ამ სახლში გატარებული ბიჭის ყოველი დღე შეისწავლა, მისი მეგობრები გაიცნო და დარწმუნდა, რომ მას გულისთქმა არ ატყუებდა. ბიჭი არ იყო ქურდი და გამართლდა, სკოლას დაუბრუნდა, ისწავლა, უმაღლესი დაამთავრა, ინჟინერი გახდა.

გავიდა წლები. ის ჭაბუკი, ახლა უკვე დაოჯახებული და საქმიანი მამაკაცი, გულთბილად იგონებს სამართლიან მოსამართლეს, რომელმაც მას ცხოვრებაში დაუმსახურებელი შერცხვენა ააცდინა. ასეთი ადამიანის დავიწყება არ შეიძლება, ამიტომ ისიც სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეს მუდამ იმ უბნისაკენ მიიჩქარის, სადაც ამომრჩევლები ხმას აძლევენ ფაცია კალანდაძეს.

22 წელიწადია, რაც ფაცია კალანდაძე მართლმსაჯულების საგუშაგოზეა და საბჭოთა კანონიერების მაღალ ღირსებებს იცავს. იგი ხალხის რჩეულია და მათი ინტერესების სადარაჯოზე მუდამ ფხიზელი და პირმართალი დგას.

ფაცია კირილე კალანდაძის ქალიშვილია, ხიდისთაველი გლეხისა, ნამუსიან კაცს რომ ეძახდნენ კუთხე-მეზობლები.

ფაციამ ფეხი ხიდისთავში აიდგა. შვიდი კლასიც იქვე დაამთავრა. საშუალო და უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო.

ქალაქში ფაციამ ბევრი გაჭირვება იწვნია. მამამისს ექვსი შვილი ჰყავდა გამოსაზრდელი და გლეხკაცისათვის ეს არ იყო იოლი.

სარდაფში ცხოვრობდა ფაცია. დილიდან საღამომდე მზე არ შეიხედავდა მის ოთახში. სწავლით დაღლილს, სოფელი აგონდებოდა, კოინდარით გადაბიბინებული ეზო-კარი, მდინარე გუბაზოული და ამწვანებული კორტოხები, მაგრამ შორს იყო ხიდისთავი. მსხალი და ჭანჭურიც შორს იყო. ახლოს წიგნები ჰქონდა და ისიც სწავლობდა გულდადებით.

1939 წელს ფაციამ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ცხოვრებას თამამად გაუსწორა თვალი. იმავე წელს იგი კასპის რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად დანიშნეს. დაიწყო მისთვის შრომისა და დამოუკიდებელი ცხოვრების დღეები.

...ის ღამე სუსხიანი იყო. ქარი ქროდა და მიწიდან ახვეტილ თოვლს ჰაერში ატრიალებდა. ფაცია სამუშაო ოთახში იჯდა. საქმეს სწავლობდა. ახალბედა გამომძიებელს ქურდების გადარეცხილი კვალისთვის უნდა მიეგნო.

დაიჭრიალა კარმა და ახალგაზრდა ქალი ფრთხილად შემოვიდა

# [illegible] [illegible] სიმართლის



ოთახში, შემოვიდა და იქვე გაჩერდა. მას დაცხავებული ჩითის კაბა ეცვა და ცახცახებდა. ფაცია მიხვდა, იგი მასთან დიდ მწუხარებას რომ მოეყვანა.

— დაჯექით, — დაუყვავა და ღუმელს შეშა შეუკეთა. ოთახში სიწყნარე იყო, მხოლოდ მუგუზლები შიშინებდა და მინებზე ტკაცუნებდა სეტყვა. გამომძიებელმა საშუალება მისცა ქალს სული მოეთქვა.

— ვინა ხართ, ასეთ ღამეში რამ მოგიყვანათ ჩემთან? — ჰკითხა ალერსიანად.

— მე უბედური ვარ, — გული ამოუჯდა მოსულს.

— რა შეგემთხვათ? მიამბეთ გულახდილად.

— მამამ სახლიდან გამომაგდო.

— რისთვის?

— ფეხმძიმედ ვარ.

— ვინ არის იგი?

— მიყვარდა და ვენდე... ჩემი თანასოფლელია.

— შემდეგ?

— მას ჩემი თავი დედამისმა არ ათხოვნინა, — ტირილით იგუდებოდა ქალი.

ფაციამ წყალი დაალევინა, მოეფერა, მაგრამ ქალის კისერზე ჩალურჯებული ზოლი რომ შეამჩნია, შეკრთა.

— ეს რა არის?

— ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, — სთქვა მან და ნათოკარზე ხელი აიფარა.

— ასეთი სისულელე როგორ გადაწყვიტეთ?

— ქვეყნის დასაცინი გავიხადე თავი.

ქალი მაგიდის კიდეზე სასომიხდილი დაემხო.

შუაღამე გადავიდა. ღუმელში ცეცხლი ჩაქრა. ქარიშხალმა იძალა და ხეებზე შემორჩენილი ფოთლები დაბერტყა. ფაცია დიდხანს იყო დაფიქრებული. მის წინ იჯდა თვალებჩაღამებული, ფერმკრთალი ქალი და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობდა. ფაციამ თავის ბინაში წაიყვანა იგი.

ღამე არც ერთს არ სძინებია. გათენდა და გამომძიებელმა დაიწყო მოქმედება. საქმეს ჯერ ფრთხილად მოუსინჯა ფესვი, მაგრამ დედაკაცი კერპი აღმოჩნდა, ვაჟი კი დედის მოშიში. მაშინ მართლმსაჯულების წარმომადგენელმა კანონი მოიშველია.

— ასეთ გულქვაობას არ გაპატიებენ. ქალის სიცოცხლეზე თქვენ აგებთ პასუხს... პირადად თქვენ! — დაემუქრა ფაცია და გატყდა კერპი დედაკაცი, შემდეგ ქორწინება მოხდა. აქა-იქ გაისმა ჩურჩული და ჭორი, მაგრამ გაჩნდა ბავშვი და პატარა ოჯახში სიამტკბილობა დამკვიდრდა...

1940 წელს ფაცია კალანდაძე თბილიში გადმოყავთ, მას რაიონის პროკურორის თანაშემწედ ნიშნავენ. შემდეგ მოსამართლედ ირჩევენ. ყოველ ახალ დღეს ახალი საქმე, ახალი საზრუნავი მოაქვს მისთვის.

— ადამიანმა სიმართლე არ უნდა დაკარგოს, — ახლაც ამ საზრუნავით სწავლობს ფაცია კალანდაძე საქმეებს. საქმეები კი ბევრია, ძალიან ბევრი და სხვადასხვაგვარიც. მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოში მასთან მოდიან მოდავე მეზობლები და გამწარებული მშობლები, სიმართლისმაძიებელი ცოლი თუ მამისგან მიტოვებული ბავშვი და მოსამართლისაგან მოელიან სამართალს, ნუგეშს.

ადამიანის ღირსებას, მის მაღალ უფლებებს საბჭოთა კანონი იცავს და ამ კანონიერების ერთგული მსახური ფაცია კალანდაძე მუდამ მოწოდების სიმაღლეზე დგას.

ლამარა გვაზავა-სანაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რამდენი ყვავილია...

„ძვირფასო ნატვრის თვალო, მებაღეობის დარგში, სონა! ყოველივე იმან, რაც მე ვნახე ჩემი თვალით, მაგრძნობინა, რომ შენ ხარ დიდი გემოვნებიანი მებაღე...“

წერილის მარცხენა მხარეზე გვიმრის პაწია შტოა დაკრული. ნაწერი მოშორებით იწყება და გვიმრა ქათქათა ფურცელზე ლაღად გაშლილა. ძველებური, წაწვეტებული ასოები რაღაცით გვიმრის ნაწიბურებს წააგავან.

„მიხეილ მამულაშვილი“, — ვკითხულობთ წერილის ბოლოს. სოფიოსათვის ეს ყველაზე დიდი ჯილდოა. მიხეილი ადვილად როდი იმეტებს ასეთ შეფასებას. სოფიოს ახლაც თვალწინ უდგას სათნო, ყვავილების სიყვარულში მოხრილი მოხუცი, რომელიც მოულოდნელად ეწვია მის ბაღს. სანერგისაკენ რომ ჩაინაცვლა, საგანგებოდ გამოყვანილი ვარდის ჯიშის ერთი ძირი სოფიომ მიწის ბელტიანად ამოიღო და ისე მიაწოდა.

მიხეილმა დაკოჟრილი თითებით ბელტი მოსრისა და ნაამები ღიმილით თქვა: „მიწას ეტყობა, როგორი მებაღეცა ხარ! ვარდს სწორედ ასე შეზავებული ნიადაგი ესაჭიროება“. მერე სათუთად ჩასვა ყვავილი ბუდეში, ხელით მზე მოიჩრდილა და მიხაკებს ჩააკვირდა...

ყვავილებით დაიწყო ქართველი მებაღე ქალის მახსოვრობა, ყვავილები ეზოში, ყვავილები ტყეში და მთის ფერდობებზე, ყვავილები თმაში და ლამაზ ლარნაკებში.

რაჭა. სოფელი ზნაკვა. იელები და ფურისულები, შქმერი და ღიღილო, ია სამფერი და გვირილები.



წამოიზარდა და ყვავილების საიდუმლოს ჩაწვდომა გადაწყვიტა. რუსეთში წავალ, ყვავილების მცოდნე გავხდებიო, — დაუჟინა მშობლებს.

ქალიშვილის ჩანაფიქრმა სიმშვიდე დაუკარგა სოლომონს. იცოცხლე, კარგი იყოს ნასწავლი შვილი, მაგრამ გოგო ჯერ ქუთაისს არ გასცილებია და მოსკოვში რას იზამს?!

ვიწრო რაჭის გზა, უსწორმასწორო, ცხენი ფეხს მოცეკვავესავით წევს, მერე ფრთხილად დგამს. სოფიო გვერდულად შემომჯდარა უნაგირზე და რიონის მღვრიე ტალღებს ჩასჩერებია. „ნეტავი როგორია რუსეთი! ამბობენ, იქ მდინარეები დინჯია და ცხენებიც შეუფერხებლად დაჰქრიან სტეპებში“.

მერე მატარებელში ჩასვეს. ორთქლმავლის ყოველ შეკივლებაზე კრთება. ზოგჯერ გზა ირკალება და ბოლო ვაგონიდან კარგად მოჩანს ორთქლმავლის შავი ტანიდან ბოლქვებად ამონადენი ბოლი; ბოლი იშლება, სარკმლების გასწვრივ წვება, მაშინ სოფიო გრძნობს კვამლის მომლაშო სუნს, რომელიც სულაც არა ჰგავს თონეში ფიჩხებზე ავარდნილ ბოლის საამო სურნელს.

როცა მატარებელმა რუსეთის ველებში გაივაკა, გოგონა აღარ მოშორებია სარკმელს.

აღარ მოჩანს მთების სილუეტები ჰორიზონტზე. ხანდახან ეჩვენება, რომ თვალუწვდენელ ზღვას გადასცქერის, მაგრამ მირაჟი ჰქრება, სტეპის დაბალი ყვავილები უცინიან ქვემოდან.

„გრუზინოჩკამ“ კარგად არ იცის რუსული, მაგრამ მაინც იღებენ მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ერთი წლის შემდეგ ლენინგრადში ამოყო თავი, სატყეო აკადემიაში.

საოცრებას რა დალევს ქვეყნად: ძილი უტყდება თეთრ ღამეებში. მაშინ უნებურად მოდის სახლზე და მშობლებზე ფიქრი. ფიქრობს, თუ როგორი ბნელი ღამეა ახლა რაჭაში და ჭრიჭინები გაჭინჭყლებული მაყრებივით გაუთავებელ სიმღერას ამბობენ.

სოფიო ინჟინერ-დეკორატორი გამოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია რაჭა-ლეჩხუმს გალამაზება არ სჭირდება, იქ „მთავარ დეკორატორს“ — ბუნებას უზრუნია ამაზე, მაგრამ ბარად, ქალაქად ჩამოვა და რუსეთში მიღებულ ცოდნას თანდაყოლილი ალღო და გემოვნება შეერწყმება. სოფიო ბევრ ყვავილს, ხეს, ბუჩქს დარგავს და გაახარებს. შნოს და ლაზათს მისცემს მასზე მინდობილ ყველა ქუჩას, სკვერსა და პარკს.

ეს დღეც დადგა. დამთავრა ლენინგრადის სატყეო აკადემია და საქართველოში გამოსაფრენად ფრთები აიწყო. მაგრამ იგი დონის-როსტოვში გაანაწილეს.

მერე რა, არც ეს გახარებია ნაკლებად სოფიოს. „გრუზინოჩკა“ ახლა მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად და ისიც მშვენივრად იცოდა, ამ სარტყელში რომელი მცენარე და ბუჩქი იხარებდა კარგად, რომელი სამხრეთული მზეთუნახავი — ყვავილი შეეგუებოდა აქაურ ჰავას.

ჰოდა, ჩავიდა ქართველი ქალი დონის-როსტოვში, სავსე მომავლის იმედებითა და ოცნებებით.

ერთ წელიწადში 20 ჰექტარი ტყე და პარკი დააპროექტა. დადიოდა და დადიოდა, ზომავდა და ზომავდა, მუხლი და თვალი კარგად უჭრიდა მთებში გაზრდილს. დონის-როსტოვში ახლაც ახსოვთ თაფლისფერთვალება ქართველი ქალი, ხელში ნერგებითა და ყვავილებით.

მერე ომი იყო. ყვავილები აღარ ახსოვდათ ადამიანებს. პარკებში და ბაღებში თავშესაფრებს თხრიდნენ.

სწორედ ამ წლებში ჩამოვიდა იგი თბილისში და კომუნარების ბაღში დაიწყო მუშაობა. დღე და ღამე ერთი ჰქონდა, შრომობდა შეუსვენებლივ.

როცა ომის ღრუბლები გადაიყარა, ბაღებსა და პარკებს ამინდი დაუდგა, ადამიანები ისევ შესცინოდნენ ყვავილებს, უხაროდათ დაღლილთ სკვერების მერხებზე ჩამოჯდომა და ყურება, როგორ რგავდნენ და ახარებდნენ მებაღეები ახალ ნერგსა და ბუჩქს.

ახლა სოფიო კვახაძე კალინინის რაიონის გამწვანების კანტორის უფროსია.

ლენინის მოედანზე ვარდის ბაღი ხომ გინახავთ? თეთრ, წითელ, ბაც კრემისფერს,— რამდენი ფერის ვარდს მოუყრია აქ თავიო, იფიქრებ, როცა რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით მიმავალი ავტობუსი ამ ბაღს შემოუვლის.

ეს სოფიოს ხელობა გახლავთ.

ამ ბოლო დროს კომუნარების ბაღში თუ გაგივლიათ?! ქაშვეთის ეკლესიის კედელთან ხომ შეგინიშნავთ ყვავილების სტენდი? უჰ, რამდენი ყვავილია იქ, რა კარგადაა დაფასებული ბუნებისა და ადამიანის გარჯილობა! ესეც სოფიოს გემოვნებისა და შრომის ნაყოფია.

რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. სოფიოს უყვარს სილამაზე, ყვავილები, უყვარს თავისი თბილისი, მისი ქუჩების, ხეივნების, პარკების, სკვერების ტრფიალია.

**ნანული ცაგარეიშვილი**

# თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი (გრუზინსკაია)

## წარსულიდან

თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი (გრუზინსკაია) ცნობილია, როგორც თავისი დროის ერთერთი საინტერესო ქალი. იგი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის, დავით ჭავჭავაძის ასული იყო.

უზრუნველად იზრდებოდა თამარი საყვარელი მამის ოჯახში, რომ ერთ შემთხვევას არ დაემჩნია კვალი ტკბილად გატარებული ბავშვობის წლებზე. 1854 წელს შამილის რაზმელებმა ცეცხლს მისცეს მშვენიერი წინანდალი და ტყვედ წაიყვანეს დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახები. შამილს ძალზე შეუყვარებოდა პატარა თამარი და ნაირნაირი საჩუქრებით ანებივრებდა თურმე მას. ამიტომ იყო, რომ შამილთან ტყვედნამყოფ თამარ ჭავჭავაძეს შემდგომში თამარ შამილოვნას ეძახდნენ.

თამარმა შესანიშნავი განათლება მიიღო. მან კარგად იცოდა უცხო ენები, გატაცებული იყო ხელოვნებით. თამარი და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ერთად ასრულებდნენ როიალზე ოთხი ხელის პარტიას. „მათ მოსმენას არაფერი სჯობიაო“, — წერდა მათი ოჯახის ახლო მეგობარი თამარ თარხნიშვილი.

თამარის განვითარებას ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი მამის სალონში ხშირად ხვდებოდა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. არანაკლები გავლენა ჰქონდა ქალიშვილზე დედას — დავით ჭავჭავაძის სათნო მეუღლეს ანა ბატონიშვილს. შვილების მოყვარული ანა იშვიათი სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი იყო. მათ ოჯახში ხშირად დადიოდნენ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. დავითის ქალიშვილები: ანასტასია, ნინო, ელენე და თამარი შეყვარებულები იყვნენ მანანა ორბელიანზე. თამარს უყვარდა მისი მადლიანი ქართული, ჭკვიანი, დარბაისლური საუბარი.

თამარს გამოჰყვა მამიდების — ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების მომჯადოებელი სილამაზე. იგი ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ბატონიშვილის შვილიშვილს ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის. ის საკმაოდ განათლებული კაცი იყო, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა და გარეგნობითაც ერთერთ ულამაზეს ვაჟკაცად ითვლებოდა.

მაგრამ თამარი დიდხანს არ ყოფილა ქმართან ბედნიერი. იგი ახალგაზრდა დაქვრივდა და დარჩა ორი ქალიშვილი — ელისაბედი (შემდგომში ცნობილი მთარგმნელი) და ეკატერინე (შემდგომში მეუღლე პეტერბურგის ზამთრის სასახლის უკანასკნელი კომენდანტის ივ. რატიშვილისა).

თამარმა დიდი მწუხარებით მიაბარა მიწას ბაგრატიონთა უკანასკნელი შთამომავალი, თავისი საყვარელი მეუღლე და მალე ორივე ასულით საზღვარგარეთ გაემგზავრა.

ევროპაში მან 1896 წლამდე დაჰყო, ცხოვრობდა შვეიცარიაში, დრეზდენში, რომში, ვენეციაში და პარიზში.

ვენეციაში თამარს საკუთარი ვილა ჰქონდა. სასახლის ერთერთ დიდ დარბაზში მუზეუმი გამართა. აქ მან თავი მოუყარა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების დამახასიათებელ ექსპონატებს — ყანწებს, კერამიკას, ხალიჩებს, ხევსურულ კაბას, ჯაჭვ-მუზარადს და სხვა. ამ ექსპონატებს ინტერესით ეცნობოდნენ უცხოელები.

თამარი გატაცებული იყო იტალიის შესანიშნავი ხელოვნებით. მან ძვირფასი, უნიკალური ნივთები ჩამოიტანა საქართველოში.

საქართველოს მუზეუმის ერთერთი დამაარსებელი დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც მუდამ ოცნებობდა თბილისში ქართული „ლუვრის“ გახსნაზე, ხშირად მიწართავდა თამარს სამუზეუმო ნივთებისათვის.



ცხადია, ქართველი საზოგადოება თამარს იცნობდა, არა მარტო როგორც სილამაზით განთქმულ ქალს, არამედ შინაარსიან, მაღალი გემოვნების ადამიანს, რომელიც მუდამ დაინტერესებული იყო თავისი ქვეყნის კულტურული ცხოვრებით.

**1904-1905** წლებში თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სათავადაზნაურო გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის წევრი იყო. როგორც საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, იგი ეხმარებოდა ალიხანოვ-ავარსკის მიერ გადამწვარ გურიის მცხოვრებლებს.

ამ ფაქტის შესახებ მწერალი ნინო ნაკაშიძე შემდეგს გადმოგვცემს:

„სხდომა მოეწყო ფრეილინის ქუჩაზე, რომელსაც დაესწრო მთელი გამგეობა, მათ შორის ილია ჭავჭავაძე.

სხდომის მთავარი საკითხი იყო, დახმარებოდნენ გურულებს. კრებას ესწრებოდნენ გურულების წარმომადგენლები. როცა კრება დამთავრდა, თამარ გრუზინსკაიამ ჩვენსკენ გამოსწია. ილია სწრაფად ადგა, მიეგება და ორივენი მოგვიახლოვდნენ.

— ძალიან მოხარული ვარ, — გვითხრა თამარ გრუზინსკაიამ, — რომ ფულს თქვენი სურვილისამებრ ჩქარა გადაგზავნით ოზურგეთში.

ილიამ თამარს გააცნო დაზარალებული გლეხი გოგელია და უთხრა:

— აი, ეს გურულია. მართალია სახლ-კარი გადაუწვეს, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღს არ ყრის, ნამდვილი რევოლუციონერია. — მერე მიუბრუნდა გოგელიას:

— ეს კნეინა გრუზინსკაიაა, ჩვენი თავმჯდომარე. საქართველოს რომ ახლა მეფე ჰყოლოდა, ეს ჩვენი დედოფალი იქნებოდა.

გოგელიამ სწრაფად შეხედა გრუზინსკაიას და თქვა:

— ბატონო, ეს რომ ჩვენი დედოფალი ბრძანებულიყო, ერთ წელიწადს კიდევ მოვითმენდით, დავიცდიდით და რევოლუციას არ მოვახდენდითო“.

თამარი, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე, ვაჟკაცური შემართების ადამიანი იყო.

საინტერესოა ერთი ფაქტი თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონის ცხოვრებიდან: რუსეთის იმპერატორმა სილამაზით განთქმულ ქართველ ქალს ფრეილინობა შესთავაზა და ფრეილინის სამკერდე ნიშანი გამოუგზავნა. თამარმა არ მიიღო ეს ნიშანი.

— ქართველი მეფის შთამომავალი არასოდეს არ ყოფილა ფრეილინაო, — შეუთვალა იმპერატორს.

თამარი იყო შესანიშნავი დედა და ბებია. მან თავისი ქალიშვილის, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელის, ელისაბედ ორბელიანის სახით აღზარდა სახელოვანი მოღვაწე ქალი, ხოლო შვილიშვილს, ელისაბედ ორბელიანის ვაჟს—ირაკლი ორბელიანს, შემდგომ სახელმოხვეჭილ პიანისტს, მთელი თავისი ნიჭი და მუსიკალური განათლება მოახმარა.

თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი (გრუზინსკაია) გარდაიცვალა ხანდაზმული, ოთხმოცდაერთი წლის ასაკში, 1931 წელს.

**ნინო ჩიხლაძე**



დგანან თამარის დები: ნინო ჯორჯაძე და ანასტასია ჩოლოყაშვილი; სხედან: თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი და მისი ქალიშვილი ელისაბედი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლის ხანგრძლივობა



ო. ქაშიბაძე (ბათუმი) — 107 წლის.

მკითხველთა მრავალ წერილს იღებს რედაქცია. ამ წერილებით ისინი გვიზიარებენ თავიანთ აზრებსა და სურვილებს, გვთავაზობენ ახალ თემებს, მოითხოვენ სხვადასხვა საკითხების განმარტებას. ერთი ნაწილის სურვილია გამოვაქვეყნოთ წერილი სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხზე, უფრო ზუსტად, იმაზე, ვინ უფრო დიდხანს ცოცხლობს — მამაკაცი თუ ქალი და საერთოდ რა პირობებია საჭირო სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. ვაკმაყოფილებთ მათ სურვილს. სიტყვას ვაძლევთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გრიგოლ ფიცხელაურს.

ბუნებრივია სიცოცხლის ხანგრძლიობის საკითხისადმი ჟურნალის მკითხველთა ინტერესი. არსებითად, ეს საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხია და ადამიანები მისდამი საზოგადოებრივი განვითარების უფრო ადრეული საფეხურებიდანაც იჩენდნენ ინტერესს. საკითხის ფართო განხილვას ჩვენ არ შევუდგებით. ვინაიდან ეს წერილის მიზანი არ არის. პასუხს გავცემთ კონკრეტულ კითხვაზე: მამაკაცი ცხოვრობს უფრო ხანგრძლივად თუ ქალი?

მთელი რიგი გამოკვლევებით და ჩვენს ხელთ არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ ქალები უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენ, ვიდრე მამაკაცები. საამისო ფაქტები საკმაოდ ბევრია, როგორც ჩვენი დღევანდელი სინამდვილიდან, ისე შორეული წარსულიდან. ცხოვრობენ რა უფრო ხანგრძლივად, ქალები ამავე დროს დიდხანს ინარჩუნებენ შრომისუნარიანობას.

ღრმა მოხუცებულობას მიაღწია რომაელმა მსახიობმა ქალმა გალერია კოპიალამ. მაყურებელმა იგი სცენაზე იხილა მისი არტისტული მოღვაწეობის დაწყებიდან 90 წლის შემდეგაც. მეორე ცნობილი მსახიობი ქალი ლიუცეია სულ ახალგაზრდა გამოვიდა სცენაზე და 100 წლის მანძილზე ხიბლავდა მაყურებელს შესრულების სიმართლით...

მსოფლიოში ერთერთი ყველაზე უხუცესი ქალი ოსი ტაიაბად ანიევა იყო. მან 181 წელი იცოცხლა.

თურქეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, სოფელ სარფში* ცხოვრობს ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დიდიხნის ქალი —168 წლის ნინე ხატისი.

დაღესტნელი აშურა ტელმეკოვა შამილის ბრძოლების მომსწრეა. მას არაერთხელ პირადად უნახავს შამილი, მიურიდების რაზმით გარშემორტყმული. აშურა ახლა 148 წლისაა და ცხოვრობს ბუინაკის რაიონის სოფელ ჩანკურბში. იგი ამ ცოტახნის წინათ გარდაცვლილი უხუცესი აზერბაიჯანელი კოლმეურნის — მახმუდ ეივაზოვის თანატოლია.

როგორც ითქვა. ქალები საერთოდ უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ვიდრე მამაკაცები. ეს დასტურდება სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის აღწერით. 1959 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, საბჭოთა კავშირში ცხოვრობს 21.708 კაცი ასი და მეტი წლისა, მათ შორის 16.276 ქალია.

დიდიხნის ადამიანები ცხოვრობენ არა რომელიმე ერთ გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში. ისინი გვხვდებიან ყველგან, ყველა გეოგრაფიულ ზონაში, ქალაქებსა თუ სოფლებში, მთებსა თუ დაბლობებში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათი ორი-მესამედი მაინც სოფლადგილების მცხოვრებია.

ვფიქრობთ, მკითხველთათვის უთუოდ საინტერესოა ის მიზეზები, რაც განაპირობებს ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობას.

პირველ რიგში ეს აიხსნება ქალის ორგანიზმისათვის დამახასიათებელი მეტი ბიოგენეტიკური გამძლეობით, რაც მას მოსდევს კაცობრიობის განვითარების ადრეული საფეხურებიდან, როგორც მაღალი მისიის — შთამომავლობის გაგრძელების —შემსრულებელს.

მამაკაცის შედარებით ნაკლებ სიცოცხლისუნარიანობაში მცირე როლს როდი ასრულებს ალკოჰოლით გამოწვეული ქრონიკული ინტოქსიკაცია, ნიკოტინი, საწარმოო შხამები, ტრავმატიზმი და სხვა, რასაც ხშირად სიკვდილი მოსდევს.

საქართველო საოცარი რესპუბლიკაა ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების მხრივ, 80 წლისა და მეტი ხნის ადამიანთა რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში 62 ათასს აღწევს, მათი ორი მესამედი ქალია; 1.300 ქალი 100 და მეტი წლისაა, 60 ქალი — 120 და მეტისა.

საქართველოს შესანიშნავი ბუნება და ჰავა, მცენარეებისა და მზის სხივების სიუხვე, კურორტებისა და სამკურნალო წყლების დიდი რაოდენობა, მზის გაძლიერებული რადიაცია და აეროიონიზაცია ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაჟებას.

კიდევ რა პირობები უწყობენ ხელს ადამიანის სიცოცხლის, კერძოდ, ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობას?

ჩვენს მიერ დამუშავებულია გერონტოლოგიური რუკა კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით. დადგენილია, რომ ყველაზე მეტი რაოდენობით მრავალწლიანი ქალები იმ რაიონებშია, რომელთა საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1.500 მეტრია, ამასთან კავკასიის მთავარი ქედის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე, მათთან მომიჯნავე ზეგნებზე, ძირითადად კი კოლხიდის დაბლობებში. 123 წლისაა ხაშურის რაიონის სოფელ კრისხევის მცხოვრები ქეთევან თედეშვილი. ლენტეხში ცხოვრობს და შრომობს 115 წლის ოლღა ჯანხოტელი. ჭალელი (საჩხერე) ქეთევან ჩიტაძე 122 წლისაა, წნორელი ნინო ბერიაშვილი — 119 წლისა.

დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ თით-



ს. ოჯახვერდოვა (თბილისი) — 108 წლის.

* სოფელი სარფი ორად არის გაყოფილი. ერთი საბჭოთა სოფელია, მეორე — თურქული.



თანატოლები ა. ქუცნაშვილი და ა. მამუჩაშვილი (დუშეთი) — 110 წლისანი.



ნ. გრძელიშვილი (თელავის რაიონი) — 110 წლის.

ქმის ყველა დიდიხნის ქალი მრავალშვილიანია და ადრე ახალგაზრდობაში გათხოვილი. 105 წლის ტერეზა კეკელია, მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის მცხოვრები, გმირი დედაა, მან 11 შვილი შობა და აღზარდა. ყაზბეგის რაიონის სოფელ განისის მცხოვრებს, 103 წლის სოფიო რუბაევას 13 შვილი ჰყავს. 11 შვილი აღზარდა ბორჯომელმა სოფიო გოგოძემ. იგი დაახლოებით 100 წლისაა.

ეს და სხვა მონაცემები ცხადჰყოფენ, რომ ორსულობა კეთილნაყოფიერად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეს უხანგრძლივებს მას. ამიტომ სავსებით უსაფუძვლოა შიში იმ ქალებისა, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს ფეხმძიმობა უარყოფით გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე, აძაბუნებს მას, აჩქარებს მოხუცების პროცესს. სინამდვილეში ორსულობისაგან თავის არიდება, აბორტები ანადგურებს ორგანიზმს, არაიშვიათ შემთხვევაში კატასტროფითაც მთავრდება.

სისტემატური სწრაფვა დედობისაკენ, წყნარი ოჯახური ცხოვრება შვილებსა და ახლო ადამიანებს შორის, გონივრული შრომა, ამასთან თავის გაფრთხილება, პირადი ჰიგიენის დაცვა აძლიერებს ქალის მორალურ და ფიზიკურ ძალებს, სიცოცხლეს უხანგრძლივებს მას.

ზოგიერთი ბრიყვი ფიქრობს, რომ ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივების პირობა უქნარობა, უქმად ყოფნაა. სინამდვილეში ჯანმრთელობის მტერი სწორედ უსაქმურობა და მცონარობაა. დადგენილია, რომ არც ერთ ზარმაცს არ მიუღწევია ღრმა მოხუცებულობამდე. შრომა, პირიქით, აჯანსაღებს ადამიანს, სიცოცხლეს უხანგრძლივებს მას. ამას ადასტურებს იმ დიდიხნის ქალების მაგალითიც, რომლებიც ჩვენს წერილშია მოხსენებული. ისინი პატარაობიდან შრომაში არიან ჩაბმული, ახლაც დაუზარებლად ასრულებენ საოჯახო საქმეებს, კერავენ, ზრდიან შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, შრომობენ კოლმეურნეობაში, უვლიან ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, პირუტყვსა და ფრინველს. დავასახელებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

წალენჯიხის რაიონის სოფელ მედანის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში ხშირად შეხვდებით 93 წლის კოლმეურნე ქალს ეფრო მიქავას. იგი უკვე დიდიხანია პენსიაზეა, მაგრამ არ ფიქრობს მიატოვოს საკოლმეურნეო მინდვრები, სადაც პირველი ჩაის ბუჩქი მისი ხელით არის დარგული, შარშან მან 0,1 ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე 2 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის ჩაის პლანტაციებში ენერგიულად შრომობენ საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი ქალები: 94 წლის მ. ლომაძე და 92 წლის ო. ღლონტი.

მრავალწლიან ადამიანთა ჯანმრთელობის შემოწმებამ შემდეგი საყურადღებო ფაქტიც გვიჩვენა: მათი უმრავლესობა არასოდეს ავად არ გამხდარა, შესანიშნავი ნერვული სისტემა, მხედველობა, სმენა და მეხსიერება აქვთ, განსაკუთრებით კარგად ახსოვთ შორეული წარსულის ამბები. ყურადღებას იქცევს მათი კვების რეჟიმიც. ისინი, როგორც წესი, დღეში 3-4 ჯერ ჭამენ, ამასთან განსაზღვრულ საათებში. არასოდეს ზედმეტ საჭმელს არ იღებენ, იკვებებიან შერეული საზრდოთი, სისტემატურად ხმარობენ ცხარე სანელებს, რაც მადას აძლიერებს და საკვების გემოვნების ხარისხს აუმჯობესებს. ამასთან მეტი რაოდენობით მიირთმევენ ბოსტნეულსა და ხილს. შემჩნეულია, რომ ის ადამიანები, რომლებიც უხვად იღებენ ბოსტნეულსა და ხილს, ნაკლებად ავადდებიან ათეროსკლეროზით.

გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის მატერიალისტური მოძღვრება ხსნის და განმარტავს ადრეული სიბერის მიზეზებს. სიბერის დადგომა, დიდი მეცნიერის განმარტებით, დაკავშირებულია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციის დარღვევასთან. ნერვული სისტემის გადაქანცვა და დაუძლურება იწვევს ორგანიზმის რეაქტიულობის დასუსტებას, სხვადასხვა ორგანოების დაავადებას, რის შედეგად ქვეითდება ნივთიერებათა ცვლა, იწყება უჯრედებისა და ქსოვილების ჭკნობა, ირღვევა უჯრედების თვითაღდგენის პროცესი. ამიტომ საჭიროა გავუფრთხილდეთ და გავიმაგროთ ნერვული სისტემა, შევინარჩუნოთ მისი მაღალი ტონუსი.

სიცოცხლის სერიოზულ სტიმულს წარმოადგენს შრომისადმი სიყვარული. მთავარია არა ის, თუ რა პროფესიის ხართ, არამედ ის, თუ როგორ მუშაობთ. შრომისა და დასვენების რეჟიმის ყოველგვარი დარღვევა, დაძაბული მუშაობა, რაც გადაქანცვას იწვევს, მავნებელია ჯანმრთელობისათვის, აჩქარებს მოხუცების პროცესს.

ადამიანი როდია დაზღვეული ავადმყოფობისაგან. ვიგრძნობთ თუ არა ოდნავ სისუსტეს, დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს.

ამრიგად, ყოველ ქალს (და არა მარტო ქალს) შეუძლია გაიხანგრძლივოს სიცოცხლე და დიდხანს შეინარჩუნოს შრომის უნარი, თუ გონივრულად იშრომებს და დაისვენებს, მიმართავს ფიზკულტურას, დაიცავს პირად ჰიგიენას, სწორად იკვებება, ნორმალურად იძინებს, და, რაც მთავარია, გაუფრთხილდება თავის ნერვულ სისტემას, ჯანმრთელობას.

**გ. ფიცხელაური,**

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.




ბევრმა თქვენგანმა შეიძლება არც კი იცოდეს, რა სასარგებლოა გოგრა და ამიტომ იშვიათად ჰქონდეს თავის სუფრაზე. გოგრა კი ძალიან ძვირფასი პროდუქტია.

გოგრა შეიცავს ბევრ შაქარს (ზოგჯერ 12 პროცენტამდეც), სხვადასხვა ვიტამინებს და კაროტინს. აძლიერებს ორგანიზმიდან წყლისა და მარილების გამოყოფას, იხმარება გულ-სისხლძარღვთა დაავადებისგან გამოწვეული შეშუპების დროს. გოგრა სასარგებლოა იმათთვის, ვისაც კუჭის დაავადება აქვს და მსუბუქი დიეტა სჭირდება.

სასიამოვნო და სასარგებლოა გოგრის თესლი. ის ბევრ ცილას შეიცავს, ხოლო ზეთის შემცველობით გოგრის თესლი მზესუმზირასაც კი აღემატება. მისი ახალი თესლი შეიცავს ფისოვან ნივთიერებას, რომელიც ნაწლავებში სპობს პარაზიტებს.

გოგრა შეიძლება ხანგრძლივად შეინახოთ.

გოგრისაგან მრავალი ნოყიერი და გემრიელი კერძი მზადდება.

მაშ, გავუხსნათ გოგრას გზა ჩვენი სამზარეულოსკენ.

როგორი კერძები მოვამზადოთ?

ამაში დაგვეხმარება დიასახლისი ოლია ბრეგვაძე, რომლის მიერ მოწოდებული მრავალი რეცეპტიდან რამდენიმე შევარჩიეთ და დღეს გთავაზობთ, ძვირფასო მკითხველებო.

## გოგრა ორთქლში მოხარშული

მოსულ, ტკბილ გოგრას მოვაცილოთ ყუნწი, გავრეცხოთ, გავჭრათ შუაზე გარდიგარდმო, გული ამოვუსუფთაოთ კოვზით, თითო ნახევარი გავჭრათ დაახლოებით 4,6 ან 8 მოდიდო სამკუთხ ნაჭრებად, ჩავალაგოთ სქელგვერდებიან ქვაბში (ისე, რომ კანიანი მხარე ზემოთ ჰქონდეს) და დავასხათ წყალი ორი თითის სიმაღლეზე. თუ გოგრას სიტკბო აკლია, აქა-იქ მოვალაგოთ ნატეხი შაქარი — გოგრა შეიწოვს და უფრო გემრიელი გამოვა. ვხარშოთ ზომიერად. როცა მოიხარშება, ცხელივე მივიტანოთ სუფრაზე სადილის შემდეგ.

## გოგრა და სიმინდი ერთად მოხარშული

სიმინდს მოვაშოროთ ფუჩეჩი, მოვატეხოთ წვერი, ჩავალაგოთ ქვაბში და ზევიდან მოვალაგოთ გოგრის მოზრდილი ნაჭრები. წყალი ჩავასხათ ისე, რომ მხოლოდ სიმინდს ფარავდეს. ვადუღოთ ზომიერად. როცა მოიხარშება, სუფრაზე მივიტანოთ ცხელ-ცხელად.

## გოგრა ღუმელში შემწვარი

ტკბილ, მოსულ გოგრას მრგვლად ამოვაჭრათ თავი ისე, რომ ხელი კარგად ჩადიოდეს. ამოვასუფთაოთ კოვზით. ისევ დავხუროთ თავი, შევდგათ ღუმელში, საშუალო სითბოში. როცა შეიწვება, ცოტა გავაგრილოთ, დავჭრათ მოდიდო ნაჭრებად და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

## გოგრის მურაბა

4 კგ მოსული, ტკბილი გოგრა, კანგათლილი და გაწმენდილი, დავჭრათ ოთხკუთხედ, მცირე ზომის ნაჭრებად, ჩავაწყოთ ქვაბში, დავასხათ წყალი, რომელშიც ჩაყრილია ერთი მუჭა ახალი კირი. ასე გავაჩეროთ 1 საათს, ხანგამოშვებით მოვურიოთ. შემდეგ კარგად გავრეცხოთ ისე, რომ სულ სუფთა წყალი გადიოდეს. ჩავყაროთ ნელთბილ სიროფში (რომელიც დამზადებულია 4 კგ შაქრით და 4 ჩაის ჭიქა წყლით). ვადუღოთ თანაბრად. როცა სიროფი გამჭვირვალე გახდება, მურაბა მზად იქნება. გადმოვდგათ და გავაციოთ. ჩავასხათ ქილებში და თავი მჭიდროდ მოვუკრათ.

## გოგრა ქვაბილში მოხარშული

ტკბილი, მოსული გოგრა გავთალოთ, გამოვაცალოთ თესლი და კოვზით გამოვასუფთაოთ. 2-3 დღე ჩრდილში გავაჭკნოთ. შემდეგ დავჭრათ თანაბარი ზომის ნაჭრებად, ჩავალაგოთ ქვაბში, დავასხათ თეთრი, ახლადდაწურული ტკბილი. როცა მოიხარშება, ფრთხილად ამოვალაგოთ ქაფქირით. გავშალოთ სუფთა ფიცარზე და გავახმოთ. ასე გამჭკნარ გოგრის ჩირს ისედაც მიირთმევენ და ჩურჩხელისთვისაც აცვამენ.

## გოგრის და კომშის ფქლაპი

5 კგ გოგრა გავთალოთ, გავჭრათ შუაზე, გამოვფხიკოთ კოვზით, დავჭრათ პატარა ნაჭრებად. 5 კგ მოსული კომში გავთალოთ, ამოვაჭრათ მაგარი გული, ისიც დავჭრათ პატარა ნაჭრებად. გოგრა და კომში ავურიოთ ერთმანეთში, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ ახალი ტკბილი ისე, რომ კარგად ფარავდეს. ვხარშოთ ზომიერად, ჩაშლას რომ დაიწყებს, ხშირად მოვურიოთ, რომ არ მიიწვას. როცა ჩაიშლება და ერთგვაროვან მასას მივიღებთ, ცხელივე გავატაროთ დიდ საწურში. ხელის სისქეზე დავასხათ სუფთა ფიცარზე, ზემოდან მოვუსვათ ტკბილიანი ხელი და მოვასწოროთ. მერე გავდგათ გასაშრობად მზეზე. როცა ზემო პირი გაშრება, ფიცარს და ტყლაპს შორის გავატაროთ თეთრი ძაფი და გადავაბრუნოთ, შემოვუკეცოთ ნაპირები, გადავუსვათ ტკბილიანი ხელი და გადავასწოროთ. მეორე მხარე რომ გაშრება, ორივე მხრიდან წავუსვათ ტკბილი და გადავკიდოთ მრგვალ ჯოხზე, ასე გავიმეოროთ 2-3-ჯერ. როცა კარგად გაშრება (ძალიან არ უნდა გავახმოთ), დავახვიოთ მრგვალად, შევხვიოთ სუფთა ქაღალდში და შევინახოთ მშრალ ადგილას.





## მთელ-მთელი გოგრის მწნილი

20 კგ მოუსვლელ გოგრას მოვაჭრათ ყუნწი, ოღონდ ძირში არა, ცოტა დავუტოვოთ. 5 კგ კიტრს და ამდენივე პამიდორსაც დავუტოვოთ პატარა ყუნწები. ყველა ესენი გავრეცხოთ. 3 კგ ოხრახუში, 2 კგ ნიახური, 2 კგ ყვავილოვანი კამა, 1 კგ ქინძის, შაშკვლავის (რეჰანის) და ქონდარის მხოლოდ ღეროები (ფოთლებს არ ვხმარობთ) გავრეცხოთ, ძირები დავფხიკოთ. ცალკე მოვამზადოთ 100 გრ დაფნის ფოთოლი, 150 გრ ალუბლის ფოთოლი და წიწაკა (გემოვნებით).

წყალი ავადუღოთ, ჩავყაროთ ქვამარილი ისე, რომ წვენი მლაშე იყოს. ჩავუმატოთ მწვანილის ძირები, ქინძის, შაშკვლავის, ქონდარის, კამის ღეროები, დაფნის ფოთლის ნაწილი, წიწაკა და მაშინვე გადმოვდგათ ცეცხლიდან. გავაციოთ. სუფთა კასრში ჩავალაგოთ მწვანილი, მოვალაგოთ გოგრები, გოგრებს შორის ცარიელი ადგილები ამოვავსოთ კიტრებით და პამიდვრებით, ზევიდან მოვაწყოთ ყოველნაირი მწვანილი და ასე ფენა-ფენა ჩავალაგოთ თავამდე. თავზე მოვაწყოთ მწვანილის ღეროები და ალუბლის ფოთლები, დავასხათ შეგემებული ცივი მარილწყალი. დავადოთ რიყის ქვა და დავხუროთ თავი. დამწნილების შემდეგ გადავიტანოთ ცივ ადგილას.

## გოგრა სადღესასწაულო

საშუალო ზომის მრგვალი, შემოსული გოგრა გავრეცხოთ, თავი მრგვლად ისე მოვაჭრათ, რომ ხელი ჩადიოდეს და კარგად ამოვასუფთაოთ კოვზით.

წინასწარ მოვხარშოთ 1/2 კგ ფანტია ბრინჯი, ამაში შევურიოთ 1/2 ჩაის ჭიქა ქიშმიში, 1 ჩაის ჭიქა ჩირი (ხურმის, კარალიოკის, ატმის, მსხლის, უკურკო ქლიავის), 100 გრ კარაქი და შაქარი — სურვილისამებრ. ეს ყველაფერი ავურიოთ ერთმანეთში. სართი ჩავყაროთ გოგრაში და ავავსოთ. დავხუროთ თავი. შემდეგ გოგრა ჩავდოთ ქვაბში, ჩავასხათ წყალი ისე, რომ გოგრას გარედან შუამდე ადგეს; ვადუღოთ ზომიერად, გავსინჯოთ. როცა გოგრა მოიხარშება, გადმოვდგათ. თბილივე მივიტანოთ სადილის შემდეგ სუფრაზე, საზამთროსავით დაჭრილი. ამ კერძის მომზადება გაზქურის ჰაერღუმელშიც შეიძლება, ხშულცხობილად.

## ბორში გოგრით

1 კგ თეთრი კომბოსტო, 300 გრ ტკბილი წიწაკა, ამდენივე წითელი ჭარხალი, 200 გრ სტაფილო, 250 გრ გოგრის ჩირი (ან 500 გრ გოგრა) და 500 გრ კარტოფილი გავასუფთაოთ და დავჭრათ. ასევე დავჭრათ 3 თავი ხახვი, 4 ცალი დაფნის ფოთოლი, გემოვნებით-წიწაკა, ნიახურ-ოხრახუშის ძირები და ღეროები. ყველაფერი ეს აურდავურიოთ ერთმანეთში და ჩავყაროთ ქვაბში. დავასხათ 1,5 კგ მსუქანი ხორცის ბულიონი ისე, რომ კარგად ფარავდეს (თუ უხორცო ბორში გვსურს, დავასხათ წყალი და ვუყოთ 200 გრ ერბო), ვადუღოთ ნელ ცეცხლზე, დამზადებამდე ცოტა ხნით ადრე ჩავუმატოთ ტომატი ან დაჭყლეტილი, თესლგამოცლილი პამიდორი, როცა მზად იქნება, ჩავყაროთ მარილი,



## ჩანახი გოგრით

1,5 კგ მსუქანი და რბილი ხორცი გავრეცხოთ, დავჭრათ მოზრდილ ნაჭრებად, მოვშუშოთ სქელგვერდებიან, მოგრძო თუჯის ქვაბში და ამოვაწყოთ ტაშტზე.

10 ცალი ბადრიჯანი (თითო დაახლოებით 100 გრ) გავხეხოთ და ამოვავსოთ წინასწარ გამზადებული ბრტყლად დაჭრილი დუმით, ყოველნაირი დაკეპილი მწვანილით და მარილით. ჩავალაგოთ ბადრიჯნები იმ ქვაბში, სადაც ხორცი იშუშებოდა. ზევიდან მოვაწყოთ 6 ცალი ბადრიჯნის მსგავსად გამოტენილი პამიდორი, 1/2 კგ მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილი ან მთელი კარტოფილი და 1/2 კგ გათლილი, გაწმენდილი და მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილი გოგრა. ამის შემდეგ კიდევ მოვალაგოთ ხორცის ნაჭრები, დავასხათ თესლგამოცლილი და დაჭყლეტილი პამიდორი ისე, რომ ბადრიჯნები იფარებოდეს, დავხუროთ თავი და ნელა ვადუღოთ. ცხელივე მივიტანოთ სუფრაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბადრიჯნები შეიძლება ასე დავამუშაოთ: ჩავყაროთ მთელ-მთელი ადუღებულ წყალში, დავხუროთ თავი და მაშინვე გადმოვდგათ, ნელთბილივე გავწუროთ, გავსეროთ და ამოვტენოთ დუმით და მწვანილით.

## ჩაშუშული გოგრა

ეს კერძი შეიძლება მოუსვლელი გოგრით დამზადდეს. 2 კგ გოგრა გავთალოთ, გავჭრათ, მოვაშოროთ თესლი კოვზით, დავჭრათ მოგრძო ნაჭრებად. ქვაბში ჩავასხათ 1/2 ჩაის ჭიქა ზეთი, გავაცხელოთ, დავაყაროთ გოგრა და ვშუშოთ ნელ ცეცხლზე. როცა დარბილდება, დავაყაროთ 3 თავი დაჭრილი ხახვი, ცოტახანს ვხრაკოთ, შემდეგ დავასხათ თესლგამოცლილი და დაჭყლეტილი პამიდორი, ან ტომატი, ცოტა ხანს ვადუღოთ, გადმოვდგათ და დავაყაროთ წმინდად დაჭრილი 1/2 კონა ქინძი, ოხრახუში, კამა, ნიახური და 2 კბილი ნიორი. ვუყოთ წიწაკა და მარილი გემოვნებით.

## გოგრის საცივი

3 კგ გოგრა გავთალოთ, გული გამოვუფხიკოთ კოვზით, დავჭრათ მოგრძო ზომიერ ნაჭრებად და ცოტა ზეთთან ერთად ჩავხრაკოთ სქელგვერდებიან ქვაბში. როცა მოიხრაკება, გადმოვდგათ და გავაციოთ. ვუყოთ წმინდად დაჭრილი 4 თავი ხახვი, 1 კონა ქინძი, კამა, ოხრახუში, ნიახური და 3 კბილი ნიორი.

წმინდად დანაყილი 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი გავძრათ ცოტა ძმარში, ვუყოთ ერთი კოვზი დანაყილი ყვითელი ყვავილი, მარილი და წიწაკა (გემოვნებით). ყველაფერი ეს კარგად აურ-დავურიოთ ერთმანეთში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გოგრიდან დამზადებული ყოველგვარი კერძი უნდა დუღდეს ნელა, რომ გემრიელი გამოვიდეს. ქვაბის ძირს პირდაპირ ალი არ უნდა ხვდებოდეს. თუ კერძს გაზქურაზე ვამზადებთ, სანთურს აუცილებლად უნდა დავუდოთ ბრტყელი რკინა.

დიასახლისი **ო. ბრეგვაძე**

გარეკანზე — „ახალი სასწავლო წელი დაიწყო“. პირველ გვერდზე — მახარაძის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა; მეოთხე გვერდზე ზემოთ, მარცხნივ — ადიგენის ახალი სკოლა-ინტერნატი, ქვემოთ—ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს სკოლა-ინტერნატი.


რედაქტორი **თ. აბაშმაძე.**

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VIII-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5.3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.

ტირაჟი 48.000. **ფასი 30 კაპ.**

შეკვეთის № 1677, უე 04977

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

**Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.**

**Издательство ЦК КП Грузии.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჭრა-კერვის დამოუკიდებელი სწავლება





ნახ. 1

## გაკვეთილი № 22

## ორნაჭრიანი ბიუსჰალტერი (ლიფი)

ნახ. № 1.

თარგის შედგენა. (ნახ. № 2).

ამ თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 24 სმ
2. გულმკერდის ქვედა წრეხაზის ნახევარი — 48 სმ

ლიფის ნახევრის თარგის შესადგენად ა—წერტილიდან გადავზომავთ მარჯვნივ და ჩამოვზომავთ ქვევით გულმკერდის წრეხაზის — ნახევარს 24 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს. ა—წერტილიდან მოპირდაპირე 24-წერტილამდე გავავლებთ სწორ ხაზს. ა—წერტილიდან მარჯვნივ და ქვევით გადავზომავთ და ჩამოვზომავთ მუდმივად 8-8 სმ. წერტილ 24-დან ავზომავთ ზევით და გადავზომავთ მარცხნივ 8-8 სმ. 8—წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით.

ლიფის შუა ნაწილისათვის წერტილ 24-დან ავზომავთ ზევით და გადავზომავთ მარჯვნივ 4-4 სმ. 4 — წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

ლიფის ქვედა მხარისათვის წერტილ 24-დან მარჯვნივ გადავზომავთ 6 სმ. 6—წერტილს ვაერთებთ 8—წერტილთან მრუდი ხაზით.

სალტისათვის ა—წერტილიდან გადავზომავთ მარჯვნივ გულმკერდის ქვედა წრეხაზის ნახევარს — 48 სმ, შემდეგ ჩამოვზომავთ ქვევით 10 სმ. 10-ს გავყოფთ ორზე:

$$10:2=5$$

მიღებულ 5-ს ჩამოვზომავთ ქვევით ა—და 48-წერტილებიდან. 5-წერტილებს შევაერთებთ სწორი ხაზით.

საერთოდ, ოთხკუთხედის შედგენა შეიძლება მკერდის სიგრძის მიხედვითაც. სალტისათვის ზომას ვიღებთ მკერდის ქვეშ. ლიფის სიგრძე იზომება მკერდის ამობურცულობის დასაწყისიდან თავამდე. თუ მკერდი ძირს არის დაშვებული, მაშინ მიღებული სიგრძის ზომას უნდა გამოვაკლოთ 3 სმ. სალტის სიგანე 2 სანტიმეტრია (შეიძლება მეტიც ავიღოთ, სურვილისამებრ).




ნახ. 2

## ლიფის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ლიფის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად, ქსოვილზე ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს და ვჭრით. გაუჭრელი ხაზი არა აქვს. ქვედა და ზედა ნაწილს ვაკერებთ ერთმანეთს, შემდეგ შევაერთებთ მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

სალტისათვის ქსოვილს ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით და ვჭრით. სიგრძის ხაზი ა-წერტილიდან 16 წერტილამდე გაუჭრელია. გამზადებულ ლიფს ვაკერებთ სალტეს და ზევით ვაკერებთ ჭიმებს (ბრეტელებს). ვკერავთ თეთრეულის კერვის საერთო წესით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალის სპორტული ტრუსი

**ნახ. № 3**

**თარგის შედგენა (ნახ. № 4).**

ამ სახის ტრუსის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:
1. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 52 სმ
2. წელის წრეხაზის ნახევარი — 40 სმ
3. საცვლის სიგრძე — 45 სმ

ერთ ჩარჩოში ვხაზავთ საცვლის წინა და უკანა მხარეს. თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვაკლებთ 15 სმ:

52—15 = 37

მიღებულ 37-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. საცვლის სიგრძეს მუდმივად ვუმატებთ 5 სმ:

45 + 5 = 50

მიღებულ 50-ს ჩამოვზომავთ ა-და 37-წერტილებიდან ქვევით და ვადგენთ ოთხკუთხედს. ჩარჩოს სიგრძეს ე. ი. 50-ს გავყოფთ მუდმივად 5-ზე:

50:5 = 10

მიღებულ 10-ს ჩამოვზომავთ ა-და 37-წერტილებიდან ქვევით და 50-წერტილებიდან ავზომავთ ზევით. 10-წერტილებს ვაერთებთ სახაზავით.

საცვლსი წელის წინა და უკანა ხაზის დასაყენებლად 10-ს გავყოფთ მუდმივად ორზე:

10:2 = 5

მიღებულ 5-ს ჩამოვზომავთ ა-წერტილიდახ ქვევით. საცვლის წინა მხარის წელის ხაზისათვის წელის წრეხაზის ნახევარს ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 5 სმ;

40:2 = 20

20 + 5 = 25

მიღებულ 25-ს გადავზომავთ ზედა 10-წერტილიდან მარჯვნივ. 25-წერტილიდან ზევით ავზომავთ 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ 5-წერტილთან სახაზავით, ხოლო 10-წერტილთან მრუდი ხაზით.

საცვლის უკანა მხარისათვის წინა მხარის ზომას ვუმატებთ 5 სმ:

25 + 5 = 30

მიღებულ 30-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. 30-წერტილს ვაერთებთ ა-წერტილთან სახაზავით. ეს იქნება საცვლის უკანა მხარის წელის ხაზი. უბისათვის 50-წერტილიდან მარცხნივ გადავზომავთ 5 სმ. 5-წერტილს ვაერთებთ 10-წერტილთან მრუდი ხაზით.

## ქალის ტრუსის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ტრუსის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ოთხად, ვაშაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ უბეში და ტოტში თითო სანტიმეტრს, დაბლა და მაღლა-2 სმ დავჭრით. პირველ რიგში ვკერავთ უკანა უბეს, შემდეგ წინა უბეს, შემდეგ — ტოტს და ზევით გადავუკეცავთ 1 1/2 სმ. ტრუსის სიგრძის ხაზი ა-წერტილიდან 50-წერტილამდე გაუჭრელია. ოთხად დაკეცილ ქსოვილზე იჭრება უკანა ხაზები, შემდეგ თარგს გავშლით და ვჭრით საცვლის წინა მხარის ხაზებს. ტრუსი იკერება თეთრეულის კერვის საერთო წესით (ნამორის წესით).



ნახ. 3




ნახ. 4

## ქალის ტრუსი—ბანდაჟი

**(ნახ. № 5).**

**თარგის შედგენა (ნახ. № 6)**

ქალის ტრუს-ბანდაჟის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. წელის წრეხაზის ნახევარი — 39 სმ
2. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 51 სმ
3. ბანდაჟის სიგრძე — 22 სმ

ერთ ჩარჩოში ვხაზავთ ბანდაჟის წინა და უკანა მხარის ნახევარ ნაწილს.

თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვაკლებთ 3 სმ:

51—3 = 48

მიღებულ 48-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ ბანდაჟის სიგრძეს — 22 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს.

ბანდაჟის წინა მხარის ნახევრის თარგის შესადგენად წელის წრეხაზის ნახევარს ვყოფთ მუდმივად 3-ზე, ვუმატებთ 1 სმ:

39:3 = 13

13 + 1 = 14

მიღებულ 14-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ 14-დან გადავზომავთ მუდმივად 4 სმ. წერტილ 4-დან ჩამოვუშვებთ სწორ ხაზს და აღვნიშნავთ ციფრ 18-ით. (ე. ი. 14 + 4 = 18).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. 5

ბანდაჟის უბის ხაზისთვის წერტილ 22-დან ქვევით ჩამოვზომავთ 6 სმ. წერტილ 6-დან მარჯვნივ გადავზომავთ 7 სმ. წერტილ 18-დან ზევით ავზომავთ მუდმივად 4 სმ. 4-წერტილს ვაერთებთ 14-წერტილთან სახაზავით და 7-წერტილთან — მრუდი ხაზით.

ბანდაჟის წელის ხაზის დასადაბლებლად ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ წერტილ — 14-თან სახაზავით. ბანდაჟის უკანა მხარისათვის წინა მხარის ზომას — 14 სმ მუდმივად ვუმატებთ 8 სმ:

$$14+8=22$$

მიღებულ 22-ს გადავზომავთ 4-წერტილიდან მარჯვნივ. წელის ხაზის ასამაღლებლად 22-წერტილიდან ზევით ავზომავთ 5 სმ. 5-წერტილს ვაერთებთ 4-წერტილთან სახაზავით. წერტილ 22-დან ზევით ავზომავთ 8 სმ. 8-წერტილს ვაერთებთ 5-წერტილთან სახაზავით. წერტილ 8-დან ჩამოვზომავთ მუდმივად 31 სმ. წერტილ 31-დან მარცხნივ გადავზომავთ 7-სმ. წერტილ 18-დან მარჯვნივ გადავზომავთ 12 სმ. 12-წერტილს ვაერთებთ 4-წერტილთან მრუდი ხაზით და 7-წერტილთან — სახაზავით.

ჭრილისათვის (ვიტოჩკა) წერტილ 4-დან გადავზომავთ 9 სმ. წერტილ 9-დან ქვევით ჩამოვზომავთ 10 სმ. წერტილ 9-დან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-წერტილს ვაერთებთ 10-წერტილთან სახაზავით.




ნახ. 6

## ტრუსი-ბანდაჟის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ბანდაჟის წინა და უკანა მხარე იჭრება ცალცალკე. როგორც წინა, ისე უკანა მხარის გამოსაჭრელად. ქსოვილს ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს და ვჭრით. სიგრძის ხაზი წინა მხარის წერტილ 2-დან წერტილ 6-მდე გაუჭრელია, ასევე გაუჭრელია უკანა მხარის ხაზი წერტილ 5-დან წერტილ 31-მდე.

ჯერ მზადდება ბანდაჟის წინა მხარე. წინა მხარე შეიძლება იყოს ორმაგი ქსოვილისაგან, ის იკერება ახლო ნაკერით. შემდეგ ვაერთებთ წინა და უკანა მხარეს. გვერდზე და წინ, უბესთან ეკერება ღილები. ტოტებში ედება ირიბი ნაჭერი. ზევით ეკერება სალტე წელის წრეხაზის ზომის მიხედვით.



# ქალის ბანდაჟი

თარგის შედგენა (ნახ. 8)
(ნახ. № 7)

ქალის ბანდაჟის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. წელის წრეხაზის ნახევარი — 39 სმ
2. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 51 სმ
3. ბანდაჟის სიგრძე — 22 სმ

ვხაზავთ ბანდაჟის წინა და უკანა მხარის ნახევარს, ამისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვაკლებთ 3 სმ:

$$51-3=48$$

მიღებულ 48-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. ა-და 48-წერტილებიდან ჩამოვზომავთ ბანდაჟის სიგრძეს — 22 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს. ბანდაჟის წინა ნახევრისათვის წელის წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ სამზე, ვუმატებთ 1 სმ:

$$39:3=13$$
$$13+1=14$$

მიღებულ რიცხვს — 14-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ, წერტილ 14-დან გადავზომავთ 4 სმ. წერტილ 4-დან ჩამოვუშვებთ სწორ ხაზს და აღვნიშნავთ ციფრ 18-ით (14+4=18).

წერტილ 22-დან მარჯვნივ გადავზომავთ მუდმივად 5 სმ. 5-წერტილიდან გადავზომავთ 3 სმ. წერტილ 5-დან ჩამოვზომავთ 5 სმ. 5-წერტილიდან გადავზომავთ 3 სმ. წერტილებს — 5,3 ვაერთებთ სახაზავით. წერტილ 18-დან ზევით ავზომავთ 4 სმ. 4-წერტილს ვაერთებთ 14-წერტილთან სახაზავით, ხოლო 5-წერტილთან — მრუდი ხაზით. წერტილ 22-ს ვაერთებთ წერტილ 5-თან მრუდი ხაზით. წელის ხაზის დასადაბლებლად ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ 2 სმ. 2-წერტილს ვაერთებთ 14 წერტილთან სახაზავით.

ბანდაჟის უკანა მხარისათვის წინა მხარის ზომას მუდმივად ვუმატებთ 8 სმ:

$$14+8=22$$

მიღებულ რიცხვს 22-ს გადავზომავთ 4 წერტილიდან მარჯვნივ. 22 წერტილიდან ზევით ავზომავთ 5 სმ. 5-წერტილს ვაერთებთ 4-წერტილთან სახაზავით. 22-წერტილიდან ზევით ავზომავთ 6 სმ. 6-წერტილს ვაერთებთ 5-წერტილთან სახაზავით.

18 წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 9 სმ. 9-წერტილიდან გადავზომავთ მარჯვნივ 3 სმ. 9-და 3-წერტილებიდან ჩამოვზომავთ 5 სმ. 5-წერტილებს ვაერთებთ 6-და 4-წერტილებთან მრუდი ხაზით.

ჭრილისათვის 4-წერტილიდან გადავზომავთ 9 სმ. 9-წერტილიდან გადავზომავთ 3 სმ. წერტილ 9-დან ჩამოვზომავთ 10 სმ. 10-წერტილებს ვაერთებთ 3-წერტილთან სახაზავით.

## ბანდაჟის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ბანდაჟის როგორც წინა, ისე უკანა მხარის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად. ქსოვილზე თარგს ვამაგრებთ ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს და ვჭრით. სიგრძის ხაზები როგორც წინა, ისე უკანა მხარისა გაუჭრელია. ბანდაჟის წინა ნაწილის შუა ადგილი უნდა დაგვირისტდეს წვრილად მანქანით ან ფიგურული ნაკერით, ისე რომ მუცელზე არ გაიჭიმოს.

სალტის ზედა პირისთვის ქსოვილი სიგრძეზე უნდა ავიღოთ, ხოლო ქვედა პირისთვის — სიგანეზე (რომ სალტე არ გაიჭიმოს) თარგის მიხედვით გამოვჭრით სალტის როგორც პირს, ისე სარჩულს. ჩაკერვისათვის მივუმატებთ $^1/_2$ სმ. სალტის დაგვირისტების დროს სარჩული უნდა დავადოთ კარგ პირზე ისე, რომ კარგი პირი მოექცეს შიგნით. დავაგვირისტებთ უკანა და მარცხენა გვერდის ნაკერამდე, შემდეგ გადმოვაბრუნებთ კარგ პირზე. მივაკერებთ რეზინს უკუღმა პირზე, კარგი პირიდან დავბლანდავთ და დავაგვირისტებთ.

სიმაგრისათვის ღილების ქვეშ პირსა და სარჩულს ერთმანეთთან მიბლანდვისას უნდა ჩავატანოთ ქსოვილს ნაჭერი, რომელიც მასთან ერთად დაგვირისტდება. წინდების დასამაგრებელი რეზინი ეკერება ქვევით, სალტის ბოლოზე.

# ბანდაჟი



ნახ. 7




ნახ. 8

ავტორი ტ. გურგენიძე

კონსულტანტი ივ. ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მერცხალი

მუსიკა ლალი საყვარელიძის

ტექსტი ტ. ხავთასის




## მერცხალი

1. ისევ ჩემთან მოფრინდი,
შენი ბუდე აქ არის,
მოდი, მითხარ, თუ როგორ,
გაატარე ზამთარი.

2. თითსაც ვერ დაგაკარებს
ვერც ფისო, ვერც ფინია.
ახლოს მოდი, ძვირფასო,
ჩემი ნუ გეშინია.

3. ლა-ლა-ლა...

4. ოღონდ, კუდმაკრატელავ,
გულნატკენს ნუ დამტოვებ,
დედოფალას ქუდს ვკერავ
მაკრატელი მათხოვე!

663/289

ИНДЕКС 76177

ეროვნული ბიბლიოთეკა









